

მამა ბურჭულაძე

**სსსპ ვასილიძე**



# საქართველოს

სივსა  
თბილისი  
2008

გამომცემელი: ქეთევან კილურაძე

ყდის დიზაინი და ილუსტრაციები : GAMEZ

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ჯგუფი სიესტა



(სხვა მასალები) – საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ საბავშვო სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარის შესაქმნელად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია.

© ზაზა ბურჭულაძე, 2008

© გამომცემლობა „სიესტა“, 2008

გამოცემულია 2008, თბილისი

ISBN 978-9941-9032-4-3

გამომცემლობა შპს „სიესტა“  
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27  
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49  
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge  
www.siestagroup.ge

## **ინტ. სკოლა. დღე**

საკლასო ოთახში მონაწიეები მერხებთან სხედან. დაფასთან მასწავლებელი (*ქალი*) დგას. კედლებზე პლაკატები კიდია, რომლებზეც დინოზავრებია გამოსახული.

### **მასწავლებელი**

ასე რომ, თავისი გიგანტური ზომის მიუხედავად,  
ბრონტოზავრი ერთ-ერთი ყველაზე უწყინარი  
ცხოველი იყო, ბალახიჭამია...

ერთი მოსწავლე ხელს წევს. მასწავლებელი ჩერდება.

### **მასწავლებელი**

გისმენ, ლუკა.

### **ლუკა**

როგორც ძროხა?

### **მასწავლებელი**

(*ღიმილით*)

შეიძლება ასეც ითქვას.

ზოგი მოსწავლე რვეულში რაღაცას ინიშნავს. მასწავლებელი შავის საათზე იხედება, თავის მაგიდასთან მიდის, წიგნს ფურცლავს.

### **მასწავლებელი**

შემდეგ გაკვეთილზე ვისაუბრებთ

დიდ გამყინვარებაზე.

ირეკება ზარი. მოსწავლეები ფეხზე ხტებიან. წიგნებს და რვეულებს ჩანთებში ალაგებენ. საკლასო ოთახი და მთელი სკოლა უცბად ცოცხლდება. ისმის გუგუნნი. დერეფნები მოსწავლეებითაა სავსე. ყველანი გასასვლელისკენ მიდიან. ზოგი წყვილი ერთმანეთში საუბრობს. ზოგი ვილაცას ეჯღანება, ზოგს კიკინას წიწკნიან და ა.შ.

## ექსტ. სკოლის ეზო. დღე

სკოლის ეზო მოსწავლეებისგან თანდათან იცლება. ლუკა თავის ერთ-ერთ კლასელს ემშვიდობება. მალე ეზო ისევ ცარიელია.

## ექსტ. ქუჩა. დღე

ქუჩის ტრასაზე მანქანები მოძრაობენ. ლუკას სასკოლო ზურგჩანთა კიდეა. ტროტუარზე ხალხის ნაკადს შეერევა. ლუკასგან მოშორებით, ბორდიურთან, მაღალი გამხდარი მოხუცი ქალი დგას. თხელი კეზიანი ცხვირი აქვს. ხელში დაკეცილი შავი ქოლგა ხელჯოხივით უჭირავს. პატარა ხელჩანთა ამოიღლიავებული აქვს. სრულიად თეთრთმიანს, თავზე მოკლეფარფლებიანი შლაპა ახურავს. მოკლედ, ძველი ფოტოდან გამომხტარს გავს. ლუკა მოხუცის მიმართულებით მიდის. ტროტუარზე უამრავი ხალხი ირევა.

ისაა, ლუკა ქალბატონს უკვე უნდა მიუახლოვდეს, რომ მოხუცი ხელს წევს, ტაქსი მის გვერდით ჩერდება. თან, თითქოს სულ ერთი წამით, ლუკასკენ გამოიხედავს. თან ხელჩანთას ხსნის, საიდანაც იღებს ხელთათმანს, იცვამს ხელზე. ჩანთას ისევ ხურავს, მაგრამ ამ ფაციფუცში ხელჩანთიდან პატარა ქისა უვარდება. ქალბატონი ამას ვერ ამჩნევს (*თუ არ იმჩნევს*). მოხუცი ავტომანქანის უკანა კარს აღებს, ტაქსიში ჯდება. ავტომანქანა ადგილიდან იძვრება.

## ლუკა


დეიდა!.. დეიდა!..

მაგრამ ქალბატონს არ ესმის, ტაქსი ქუჩის კუთხეში უხვევს. ლუკა მირბის, ქისას ხელში იღებს. ქისაში ძალიან პატარა, ალბათ, ზარდახშის ვერცხლის გასაღებია, რომელიც წერილ ძეწკვზეა გამობმული. ლუკა დგას, გასაღებს ხელში ატრიალებს. მის გარშემო ხალხი მიდი-მოდის. როგორც ჩანს, ლუკას მეტმა ვერავინ შეამჩნია ეს ყველაფერი.

ლუკა ქუჩის კუთხისკენ იყურება, ხედება, ტაქსის ვეღარ დაენევა. შემდეგ გასაღებს ქისაში აბრუნებს, ქისას ზურგჩანთის ჯიბეში დებს და ისევ თავის გზაზე მიდის. ხალხმრავალ ქუჩას მიუყვება.

## ინტ. ნინკარი. სასტუმრო ოთახი. დღე

ნინკარში გოგონა (*ნინი*) შემოდის, სწრაფად იხსნის ზურგჩანთას, აგდება ფეხსაცმელებთან, იხდის ქურთუკს, კიდეებს საკიდზე. იხდის კედებსაც, ფეხს ჩუსტებში უყრის და სასტუმრო ოთახში გარბის. მიიღბენს მაღალ სადგამზე მდგარ აკვარიუმთან, სადაც ეგზოტიკური სამურაი-თევზები დაცურავენ. საჭმელ ფხვნილს ჩაუყრის. თევზები მტვერივით საჭმელს ჭამენ. ნინი დივანთან მიდის, წვება, იღებს დისტანციური მართვის პულტს, რთავს ტელევიზორს, სადაც რაღაც საბავშვო სერიალია. როგორც ჩანს, შინ არავინაა.







ნინი ტელევიზორს უყურებს. დივანთან დაბალი მაგიდა დგას. მაგიდაზე რაღაც ჟურნალები და კანფეტებით სავსე გამჭვირვალე თასი დგას. ნინი ტელევიზორსაა მიჩურებული, თან კანფეტებს ჭამს. მის წინ რამდენიმე ბრჭყვიალა დაჭმუჭნილი ქალაქი გროვდება. ნინი იღებს "კინდერ-სიურპრის", ქალაქს აფცქენის, შოკოლადის კვერცხს შუაზე ტეხავს. ხსნის პლასტმასის შიგთავსს. შიგნით ძენკვზე გამობმული პატარა გასაღები დევს. ნინი გასაღებს სულ ერთი წამით დახედავს, ძენკვს მექნიკურად ხელზე იხვევს სამაჯურივით. სერიალის ყურებას განაგრძობს.

## **ინტ. ლუკას სამინებელი. საღამო**

ლუკა მაგიდასთან ზის. გაკვეთილებს ამზადებს. მაგიდაზე რაღაც სახელმძღვანელოები, რვეულები, კალმისტრები, სახაზავები და ფერადი ფანქრები აწყვია. ზოგი სახელმძღვანელო გადაშლილია. ღამის ღამა ანთია. იქვე დევს ქისაც. კარი იღება, ოთახში ლუკას დედა ყოფს თავს.

### **დედა**

ლუკა, ძილის დროა უკვე. მოდი, ჩაი დალიე  
და დანეკი.

### **ლუკა**

(თავის აუნეველად)  
მოვდივარ, დე!

სანამ მაგიდიდან ადგება, რვეულში ბოლო ჩანიშვნას აკეთებს. შემდეგ წიგნს ხურავს და რვეულებთან, ერთად სასკოლო ჩანთაში აწყობს. ამ დროს ქისას შენიშნავს. ხსნის, ძენკვზე გამობმულ გასაღებს ღამის ღამის შუქზე აკვირდება. მაგიდის უჯრიდან იღებს ლუკას, გასაღებს უფრო გულდასმით ათვალეირებს. ძველებური, თან საიუველირო ნაკეთობაა. გასაღებს ყური ღამაზად დანწული აქვს. ვერცხლის წნულები ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ გასაღების ყური ყვავილის გაშლილ გვირგვინს გავს. "გვირგვინს" კიდეზე რკალად რაღაც სიტყვები აქვს ამოტიფრული. ლუკა უფრო გულმოდგინედ აკვირდება წარწერას, მაგრამ უშედეგოდ. ამოტიფრული სიტყვები მისთვის უცნობია. ეს არც ინგლისურია, არც გერმანული, არც ლათინურს გავს და არც ბერძნულს. ეს არც ანაგრამა უნდა იყოს, რადგან მსგავს ასოებს და დამწერლობას ლუკა პირველად ხედავს. ამ დროს საშზარეულოდან დედის ხმა ისმის.

### **დედა**

ლუკა, ჩაი გაგიცივდება!

### **ლუკა**

მოვდივარ!

ლუკა გასალებს მექანიკურად კისერზე იკიდებს, ლუპას მაგიდაზე დებს და ოთახიდან გადის.

## **ინტ. სააბაზანო ოთახი**

მდიდრულად მოწყობილ სააბაზანო ოთახში, სარკის წინ, ღამის ხალათში გამოწყობილი ბიჭუნა (სანდრო) დგას. სააბაზანოში ცოტაოდენი ბულია. ლოყებზე ხელს კაცივით ისვამს, თითქოს ამოწმებს, გასაპარსი ხომ არა აქვს. სარკის თაროზე პარფიუმერია, კბილის ჯაგრისებიანი ჭიქა და რალაც ტუბები აწყვია. მერე იდლიებს იმოწმებს. ხელის გულზე საპარს გელს დაისხამს, სუნავს, შემდეგ წყლით იშორებს. უფროსივით იქცევა.

ხალათს ქამრით იკრავს. ხელებს ხალათის ჯიბეში იყოფს. ისევ სარკეში იხედება. შემთხვევით ხალათის ჯიბიდან ძენკვზე გამობმულ პატარა გასალებს იღებს. გასალებს გაკვირვებული უყურებს.

## **ინტ. საძინებელი ოთახი. ღამე**



ლუკა სანოლში წევს. არ ძინავს. სადღაც სივრცეში ერთ წერტილსაა მიშტერებული. ამ დროს ქუჩაში სადღაც შორიდან ისმის ცხენების ფლოქვების თრატა-თრუქი. ეს ხმა თანდათან ახლოვდება. ლუკა სანოლში ჯდება, აყურადებს. მალე სულ ახლოდან ისმის ცხენების ხმა. ლუკა სანოლიდან დგება. ზოლებიანი ღამის პიჟამა აცვია. ფანჯარასთან ფეხშიშველა მიდის. გარეთ იხედება.

## **ქმსტ. კორპუსის ეზო. ღამე**

კორპუსის წინ ცხენებშებმული, ძველებური შავი ეტლი დგას. ცხენები ლაგამს ღეჭავენ, თან დრუნჩი ებერებათ – თეთრ ორთქლს აფრქვევენ. ეტლის კოფოზე შავ ფრაკში გამოწყობილი და ცილინდრიანი საშუალო ასაკის ორი მამაკაცი ზის. რალაც უცნაური ფრაკებია. ნახევრად საზეიმო, ნახევრად სამხედრო. მხრებზე რატომღაც სამხრეები აქვთ გაკეთებული. გალიფეს გვერდებზე შავი ატლასის ზოლები გასდევს. როგორც ოფიცრებს, ფეხზეც პრიალა შავი ჩექმები აცვიათ.

მამაკაცები კოფოდან ხტებიან. ეტლთან მიდიან. ჩანს, სარკმელში დაკიდულ ფარდას როგორ წევს ვილაცის ხელი. მამაკაცები ცილინდრებს იხდიან და მოწინებით უსმენენ იმას, ვინც ეტლში ზის. ეტყობა, დავალებას იღებენ.

შემდეგ ფარდა ისევ იხურება. მამაკაცები კორპუსის სადარბაზოში შემოდიან. ისმის, როგორ იძვრება ლიფტის კაბინა შახტაში.





## ინტ. ლუკას პინა

ლუკა ფეხაკრეფით შედის მშობლების საძინებელში. დედ-მამას ღრმად ძინავთ. ლუკას შესვლა არ აღვიძებთ. ლუკა დედასთან მიდის. მხარზე ხელს ადებს, ფრთხილად ანჯღრევს.

**ლუკა**

(ჩურჩულით)

დე... დე! შეიძლება შენთან დავნევე?..

დედა თვალებს ახელს. გვერდზე იწევა, სანოლში ადგილს ათავისუფლებს, თან საბანს წევს.

**დედა**

(ნამძინარევი)

ცუდი სიზმარი ნახე? მოდი ჩემთან, მოდი.

ლუკა დედასთან წევა. დედა საბანს მზრუნველად აფარებს, ხელსაც ხევეს.

**ლუკა**

დე... დე... ეზოში ეტლი მოვიდა.

**დედა**

დაიძინე, უკვე გვიანია.

**ლუკა**

მართლა, დე!

**დედა**

ნუ გეშინია, აქ ვერავინ მოვა. დაიძინე.

ლუკა თვალებს ხუჭავს, მაგრამ მალევე ახელს. სადღაც ახლოდან, უფრო წინკარიდან, რაღაც ჩურჩული და ჩხაკჩხუკი ისმის.

უკვე იატაკის ქრიალიც ისმის. ლუკას თვალები უფართოვდება. თან კარისკენ იყურება. ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქზე ოთახში ნივთებს იისფერი გადაკრავს. იატაკის ქრიალი სულ უფრო ახლოვდება. ჩურჩული აღარ ისმის. საძინებლის კარის სახელური ნელა და უხმაუროდ ქვევით იწევა. ლუკა დედას ანჯღრევს შსუბუქად. მერე ოდნავ უფრო ღონივრად, მაგრამ ვერ აღვიძებს – ოთახში კარის დირედან თეთრი კვამლი შემოდის. დედას ღრმად ძინავს.

ცილინდრიანი მამაკაცები საძინებელში ფეხაკრეფით შემოდიან. ლუკა თავით ფეხბამდე საბანში იმალება.

ერთ-ერთი მამაკაცი საბანს ხდის. მოკუნტულ ლუკას თვალები მაგრად აქვს დახუჭული, თან დედას ეხუტება. ისაა, ლუკა პირს ალებს და უნდა იყვიროს, რომ მამაკაცი ერთ ხელს პირზე აფარებს, მეორე ხელს ნელსქვევით უტარებს. ლუკა უძალიანდება, თან ზმუის, დედას უფრო ძლიერ ეხუტება, მაგრამ უშედეგოდ. მამაკაცი რალაც იღეთით მალე ლუკას ხელში იტატებს, ისე, რომ ხელ-ფეხი გაკოჭილი ჰქონდეს, და საძინებლიდან გაჰყავს. დედ-მამას ისევე ღრმად ძინავთ. მეორე მამაკაცი ლუკას მშობლებს საბანს ისევე აფარებს და ასწორებს, ვითომ არაფერი მომხდარა.

## ინტ. ლიფტის კაბინა

ლიფტი ქვევით ეშვება. ერთ მამაკაცს გაკოჭილი ლუკა აუტატებია, თან ხელისგულს პირზე აფარებს. უფრო გაკვირვებული, ვიდრე შეშინებული ლუკა მეორე მამაკაცს უყურებს, რომელიც საკმაოდ დაბალი და გამხდარია. ის მეგობრულად უღიმის ლუკას, თვალსაც უკრავს. მამაკაცს ხელის თითებით ლუკას პლუშის ჩუსტები უჭირავს, როგორც კურდღელი ყურებით. მერე ცილინდრს საზეიმოდ იხსნის (თავი სრულიად გადაპარსული აქვს, ლიფტის ნათურის შუქზე თვალისმომჭრელად უღაპლაპებს), ცალ ხელს მკერდზე იდებს, ლუკას კვერს უკრავს და ეცნობა. ყურში პატარა "ნაუშნიკი" მოუჩანს, ხოლო ყურიდან პირამდე მრგვლად – ლოყის გასწვრივ წვრილი მიკროფონი: პირად მცველებს და როკ-მომღერლებს რომ უკეთიათ.

## მამაკაცი

დედოფალ ანას საიდუმლო სამსახურის  
უფროსი ლეიტენანტი – ბონო "ლომგული".

თან თავისი სიტყვების დასტურად, პიჯაკის ცალ ფრთას გვერდზე წევს, რომლის უკანაც შერიფის ვარსკვლავით რალაც ორდენი აქვს მიმდგრებული, რომლის შუაშიც პატარა გერბია, ზედ გამოსახული ფრთიანი ლომითა და დაკლანჩილი გველით.

## ბონო

ეს (მეორე მამაკაცზე ანიშნებს) მობი "მტაცებელია".  
თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც საიდუმლო სამსახურის  
წევრია... და ისიც ლეიტენანტია, ოღონდ  
უმცროსი. ჰმ, ჰმ... თუმცა ამ სამსახურში  
როგორ მოხვდა, ან ლეიტენანტობა როგორ მიიღო,  
ეს ცალკე საუბრის თემაა. ჰმ, ჰმ... გაელენიანი  
პროტეჟეები, მოგეხსენებათ...

ისე ლაპარაკობს, თითქოს მობის ვერც ამჩნევს. გეგონება, ლიფტში მხოლოდ ორნი არიან, თვითონ და ლუკა. ბონო სიტყვას უცბად წყვეტს, თან თითქოს რალაც მნიშვნელოვანი დამალა, ლიფტის ჭერში იყურება და სტვენას იწყებს. ლუკა გაკვირვებული უსმენს ბონოს და მობის ქიშპობას.







## მონი

იქნებ ზოგ-ზოგიერთების ორდენებზეც გველაპარაკა, ა, პან ბონო?

## ბონო

*(ისევ ჭერში იყურება)*

თუ ჩემს ორდენებს გულისხმობ, მაშინ, ჩემო მეგობარო,  
ვინ-ვინ და შენ მაინც უნდა იცოდე, რომ ამ  
ორდენებით თვით მისმა უდიდებულესობა  
დედოფალმა დამაჯილდოვა სხვადასხვა დროს.

## მონი

რასაკვირველია, დედოფალმა, ოლონდ... ჰმ, ჰმ...  
გავლენიანი პროტეჟეები, მოგეხსენებათ...

ამ დროს ლიფტის კაბინა ჩერდება. კარი იღება. კაცები საუბარს უცბად წყვეტენ, უც-  
ბად სერიოზულდებიან, ლიფტიდან გადიან.

## მასტ. კორპუსის ეზო. ღამე

ბონო და მობი კორპუსის სადარბაზოდან გადიან. ეტლს უახლოვდებიან. ბონო ცილინ-  
დრს იხსნის, ახველებს. უცბად ხვდება, რომ მობის ორივე ხელი დაკავებული აქვს, ამი-  
ტომ ამ უკანასკნელს თვითონ ხდის ცილინდრს. ორივე ცილინდრი თვითონ უჭირავს,  
მონინებით მიმართავს ეტლის ფარდაჩამოფარებულ სარკმელს.

## ბონო

შეფ, უფროსი ლეიტენანტი ბონო  
მოგახსენებთ, რომ...

კარეტის სარკმელში ვილაც ფარდას ხელით წევს. შემდეგ კარეტის კარი მიძიმედ და  
ზუილით, როგორც ლიმუზინისა, იღება, საიდანაც კაფანდარა და დაბალი მოხუცი  
გადმოდის. სუფთა არაფრით გამორჩეული სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია, ფეხზე –  
სპორტული ფეხსაცმელი. მხრებზე მოხურული შალის კუბოკრული მოსასხამი აკლია და  
პანსიონატში დამსვენებელ პიჟონ პენსიონერს დაემსგავსებოდა. თორემ ახლა უცხოელ  
ტურისტს გავს. ხელში თხელი ხელჯოხი უჭირავს. სრულიად მელოტი თავი აქვს, რო-  
მელიც მთვარის შუქზე კვერცხივით უპრიალებს. თხელ ცხვირზე მრგვალ და ლურჯ-  
მინიანი სათვალე დაუკოსებია.

## მოხუცი

ოო-ოო, მისტერ გონსალესი მაქვს პატივი! რა აუცილებელია ასეთი უხეშობა? (ბონო ლიმოს არ მალავს)  
ახლავე მოაშორეთ ხელი და ძირს დასვით!

## მოზი

შეფ, ეს მისტერ გონსალესი არ არის.

მოხუცი წარბს მალლა წევს, მოზის თვალებში უყურებს, აბა ვინ არისო.

## მოზი

ეს ლუკაა.

## მოხუცი

ლუკა?... აა-აა, ლუკა! (მოზის) მაინც მოაშორეთ ხელი და ფეხზე დააყენეთ... და ეგ ჩუსტები ჩააცვით.  
(ისევ ლუკას) მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ დედოფალი თავისთან გინვეთ ვახშამზე...  
რასაკვირველია, წინააღმდეგი თუ არ იქნებით.  
ხოლო თუ წინააღმდეგი იქნებით, მაშინ... (პაუზა)  
აქვე თავს წაგაცლით. (ხელჯოხს ჰაერში მკვეთრად იქნევს)  
ჰა-ჰა-ჰა... ეს ხუმრობით, რასაკვირველია.

ოდნავ დაბნეული მოზი ბრძანებას უყოყმანოდ ასრულებს. ლუკას პირიდან ხელს ამორებს. ასე ხელში ატატებულ ლუკას ბონო ფეხზე ჩუსტებს მზრუნველად აცვამს. მოზი მხოლოდ ამის შემდეგ აყენებს ფეხზე ლუკას. მოზი პარალელურად ბონოს თვალებით ანიშნებს, ცილინდრი დამიბრუნეო, მაგრამ ეს უკანასკნელი ვითომ ვერ ხვდება მის ნიშანს – მხრებს იჩეჩავს.

ლუკა ხვდება, რომ წინააღმდეგობის განწევას აზრი არ აქვს და რომ ამ უცნაური ბატონების ტყვეა. მხრებს იჩეჩავს. მოხუცს ეღიმება. ადგილს ინაცვლებს, ხელს შლის, ლუკას ეტლისკენ გზას უთმობს.

## მოხუცი

გთხოვთ!

ლუკა ეტლის საფეხურზე ფეხს დგამს, მოხუცი ხელს აშველებს.

## ინტ. კარეტა

ღამის ქალაქში ეტლი რწევა-რწევით მიდის. ლუკა და მოხუცი ერთმანეთის პირისპირ სხედან. კარეტის შიდაპირი მუქი შინდისფერი ხავერდითაა განწყობილი. ალბათ ძველებურია, თუმცა ამავე დროს მოდერნიზებულია: აქა-იქ რალაც ღილაკები ციმციმებს. ჭერში ნეონის პლაფონი ანთია. მოხუცთან კედელზე პატარა მონიტორი და ასევე ღილაკიანი დიქტოფონია მიმაგრებული. კაბინაში შორიდან აღწევს ფლოქცების თრაქატორუქი და ბონოსა და მობის კამათი.

### მოხუცი

ესენი სულ ასე არიან.

### მოზი

ეს ჩემი ცილინდრი არაა!

### ბონო

აბა, ვისია? ამხელა თავი სხვას

ვის შეიძლება ქონდეს?

### მოზი

საინტერესოა, ღირსების ორდენი რისთვის

დაიმსახურე? ხუმრობებისთვის ხომ არა?

### ბონო

მგონი, ღირსების ორდენი ღირსეულებს გადაეცემათ...

და არა შარახვეტიებს. როგორც საექვო ნოდებები ზოგ-ზოგიერთებს.

### მოზი

ამით რისი თქმა გინდა?

მოხუცი ხელჯოხს კაბინის ფსკერზე სამჯერ აკაკუნებს. შემდეგ დიქტოფონის ღილაკს თითს აჭერს. მონიტორზე ბონო და მოზი ჩნდებიან, რომლებიც მაშინვე ცილინდრებს იხსნიან. მორჩილებას და პატივისცემას გამოხატავენ. ჩანს, კოფოზე შემომსხდარნი როგორ ინჯღევიან. ბონოს ცალ ხელში ალვირი უჭირავს, მეორეში – ცილინდრი და მათრახი.

## მოსუცი

მორჩით ყაყანს!

ბონო და მობი უმალ ჩუმდებიან. მოხუცი მონიტორს თიშავს. მალე შორიდან მაინც ის-მის მათი ჩუმი კამათი. ხავერდის სავარძლები არცთუ მალალია, ლუკას ფეხები იატაკს მაინც ვერ წვდება. მოხუცი მშრალად ახველებს, თითქოს ყვივანახველა აქვს.

## მოსუცი

შესავლები არ მიყვარს. მაშ ასე, ლუკა, შენ

ამალამ დედოფლის სტუმარი იქნები...

(სათვალის ზევიდან მაჯის საათზე იხედება) ცოტას ვაგვიანებთ.

(ლუკას თავით ფეხებამდე ათვალეირებს)

ამ ტანსაცმლით დედოფალთან, ცხადია, ვერ მივალთ.

## ლუკა

რომელ დედოფალთან?

## მოსუცი

რასაკვირველია, მის უდიდებულესობა დედოფალ ანასთან.

(ისევ მაჯის საათზე იხედება) ხუთ წუთში უკვე სამეფოში ვიქნებით.

## ლუკა

რომელ სამეფოში?

## მოსუცი

მოდი, თანმიმდევრულად მიეყვით. დრო ცოტა გვაქვს...

მაშ ასე, ჩვენს სამეფოს ყოველ წელიწადს სხვადასხვა

სახელი ჰქვია. ოდითგანვე ასეთი ტრადიცია გვაქვს:

ყოველი ახალი წლის ღამეს დედოფალი სასახლის აივანზე

გამოდის და იქ შეკრებილ ხალხს სამეფოს იმწლევიანდელ

სახელს საზეიმოდ აუწყებს. წელს სამეფოს "პანინარო" ჰქვია.

იცი ალბათ, არის ასეთი პოპ-ჯგუფი *Pet Shop Boys*,

რომლის დიდი თავყვანისმცემელია დედოფალი. "პანინარო"

მათი ერთ-ერთი კომპოზიციის სახელია. საიდუმლო

სამსახურის წევრთა სახელებიც ყოველწლიურად იცვლება.

იმ ორ ვაჟბატონს, გარეთ რომ სხედან, როგორც ალბათ

უკვე მიხვდი, ცნობილი მუსიკოსების სახელები აქვთ.

წელს დედოფალს თანამედროვე პოპულარული მუსიკა მოსწონს...

ასე რომ, სახელებიც შესაბამისად შეარჩია. სხვა დროს პოლიციელებს

სახელებიც სხვა აქეთ. შარშან, მაგალითად, დედოფალს ფეხბურთი  
მოსწონდა ყველაზე უფრო. ასე რომ, პოლიციელებსაც ცნობილი  
ფეხბურთელების სახელები ჰქონდათ. მათ მხოლოდ  
მეტსახელები აქეთ მუდმივი...

## ლუკა

“ლომგული” და “მტაცებელი”?

## მოსუცი

ჰმ, ამის დაყრანტალებაც მოასწრეს? ისიც ხომ არ  
გითხრეს, შარშან ფიგუ და რონალდინიო რომ ერქვათ, ა?

ჰა, ჰა, ჰა... თუმცა ეს არაა მთავარი. მთავარია,  
რომ გასაღები, რომელიც შენ...

უცხად მოხუცი სიტყვას წყვეტს. ამ დროს კარეტა უფრო მკვეთრად ინჯღრევა. ფლო-  
ქების თრაქა-თრუქიც სალონში უფრო გარკვევით ისმის. მოხუცი ხელით ფარდას  
სწევს. სარკმელში ჩირაღდნებით განათებული უცნობი ქალაქი მოჩანს, რომელიც თი-  
ოქოს დღესასწაულისთვის ემზადება.

## მოსუცი

თუმცა უკვე მოვედით.

## მქსტ. ჟურნა

ამ დროს კარეტა მკვეთრად ჩერდება. ცხენები ჭიხინებენ. მოხუცი უკმაყოფილოა,  
წარბს წევს. გარედან მოგუდული ხმები ისმის. როგორც ირკვევა, კარეტა ალყაშია. კა-  
რეტის გარშემო შევმოსასხამიანი (თავზე კაპიუშონები ახურავთ) გამონყობილი ხალხი  
დგას, რომელთაც ხელში სათამაშო თუ ფანტასტიკური ავტომატები უჭირავთ. კარე-  
ტის კარები უცხად ორივე მხრიდან იღება, ერთი შაოსანი მოხუცს უშვერს ავტომატის  
ლულას (ლა ზერის ნითელი სხივი მოხუცს თვალს ჭრის), მეორე ლუკას იტატებს ხელში.  
დანარჩენები მობის, ბონოს და მოხუცს კოჭავენ, სამივეს კარეტაში ტენიან. ერთ-ერ-  
თი შაოსანი ცხენებს მათარახს გადაუჭერს. ცხენები კარეტას მიაქროლებენ. შაოსნები  
ხელში ატატებულ ლუკას ვინრო ბნელ ქუჩებში მიაბრებინებენ. ირგვლივ თითქმის სულ  
ერთნაირი ერთსართულიანი სახლებია.

შემდეგ შაოსნები ორ ნაწილად იშლებიან. ხუთნი (ერთ-ერთს ლუკა ყავს ატატებულნი)  
რომელიღაც სახლში შედიან. წინკარში ვიღაც ძონძებში გახვეული დაბალი გამხდარი  
ბებია ელოდებათ ანთებული ფარნით ხელში. დანარჩენები ბნელ ქუჩაში უჩინარდებ-  
იან.

**ბაზია**

*(ჩახრინნული ხმით)*

სად ხართ აქამდე! ყველაფერმა კარგად ჩაიარა?

**პირველი შაოსანი**

*(ჩურჩულით)*

კი. თავიდან გვეგონა, კარეტა სხვა გზით ხომ არ გაიარა.

**ბაზია**

რაციები გამორთული გაქვთ?

**მეორე შაოსანი**

რასაკვირველია!

ბეზია კარს უამრავი სხვადასხვა ფორმის საკეტით კეტავს. მერე ფანჯარასთან მიდის, ფარდას წევს, გარეთ იხედება. რალაცას ბუტბუტებს. სხვა ოთახში გამავალი კარისკენ მიდის.

**მესამე შაოსანი**

რადიო ხომ არ ჩაგვერთო ხმის გასანეიტრალეზლად?

ბეზია საყვედურის თვალით უყურებს, ისეე რალაცას ბუტბუტებს. წინკარიდან გასასვლელ კარს აღებს. ჯერ ყველას ატარებს, ბოლოს თვითონ გადის. გასვლისას კედელზე მიმაგრებულ პატარა ეკრანზე რალაც რიცხვებს აკრეფს, ჯიბიდან მონოკლივით რალაც ხელსაწყოს იღებს, თვალთან მიაქვს: წინკარში ისეთივე ფოსფორისფერი სხივები ჩანს, როგორც ბანკში თუ ძვირფას მუზეუმში. ყველანი ჯერ სასტუმრო ოთახში, იქედან კიდევ სადღაც გადიან. ხმას არც ერთი იღებს. რალაც ოთახებში დადიან. ორნი ავტომატმომარჯვებულნი დროდადრო უკან იხედებიან, თითქოს მდევარს ელოდებიან. გარედან პატარა ჩანდა, არადა შიგნიდან სახლი უზარმაზარი ყოფილა. ბოლოს რალაც რკინის ჟანგიან კარში შედიან. კარს შიგნიდან ბანკის სეიფივით უზარმაზარი მრგვალი საკეტით კეტავენ.

**ინტ. პვირაპი**

როგორც მეტროში, ქვით მოპირკეთებული გრძელი გვირაბი კედლებზე ჩამწკრივებული პლაფონებითაა განათებული. ბოშასავით ათას ქრელ მოსასხამში გახვეული ბეზია ფარანს აქრობს, რომელიღაც ნაკეცი იტენის. სხვა ნაკეციდან რაციას იღებს, რთავს. დანარჩენებიც რაციებს რთავენ. ამ დროს ბეზიას ნაკეციდან კარტის დასტა ეყრება. ქვის იატაკზე კარტის ფურცლები მხიარულ ხტუნვას და წრიბინს იწყებენ.







## ბაბია

აბა, ადგილზე! ეხლავე!

კარტის ნაჭრები ყოყმანობენ, მერე უკმაყოფილოდ ხტებიან და უკანვე ნაკეცში ძვრებიან.

## ბაბია

(რაციით)

ობიექტი ადგილზეა.

რაციიდან ბრძანება ისმის: “დაიძარიო!” კარიდან მოშორებით ლიანდაგი იწყება, რომელზეც უცნაური (ბორბლებიან ხის ყუთს და ძველ კატერს ერთდროულად გავს) ვაგონეტი დგას. შაოსნები ნაბიჯს ანელებენ, ლუკას ფეხზე აყენებენ, კაპიუშონებს იხდიან. სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდა კაცები ყოფილან. ზოგს ბლანჟე, ზოგს ულვაში, ზოგსაც თხელი წვერი აქვს. რომელიღაც ორდენის რაინდებს გვანან. მათგან მხოლოდ ერთია წითური. ერთს კი თავი და ხელები საერთოდ არ აქვს (უხილავი კაცი), თითქოს მოსასხამი თავისით დადის. კაცები ლუკას თავის დაკერით ეცნობიან.

**პირველი შაოსანი**

აფექს.

**მეორე შაოსანი**

ტაკეში.

**მესამე შაოსანი**

პაბლო.

**მეოთხე შაოსანი**

არტურო.

**მესამე შაოსანი**

რიუიჩი.

**უხილავი შაოსანი**

(ახალგაზრდა ქალის ხმით)

ამელი.

**ბაბია**

ზინა.

**ლუკა**

ლუკა.

ყველანი ლუკას უყურებენ ღიმილით. ჩუმ-ჩუმად კისერზე დაკიდებული გასაღებისკენაც აპარებენ თვალს.

**ბაბია**

საკმარისია! გველოდებიან.

**აწვესი**

(ვაგონეტისკენ იშვერს ხელს)

გთხოვთ, ქალბატონო ზინაიდა!

**ზინა**

ძუძუმწოვარა.

ლუკასთან ერთად ყველანი ვაგონეტისკენ მიდიან. ვაგონეტი რეადგილიანია: ორადგილიანი სკამები ოთხ რიგადაა ჩამწყობებული. ვინრო შესასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს. პირველ სკამზე ზინა ჯდება. ზინას ყველანი გვერდს უვლიან: კაცები და ამელი უკანა ადგილებს იკავენ. ასე რომ, მხოლოდ ზინას გვერდით რჩება ცარიელი ადგილი. ვაგონეტის სკამზე დამცავი ლედეებია დამაგრებული, იქვე მოთხილამურის სათვალეებიც დევს. დასხდომისას ყველა ჯერ სათვალეს, შემდეგ ლეედს იკეთებს. ლუკა ვაგონეტთან დგას. ყველანი მას უყურებენ. ლუკა ხვდება, მას ელოდებიან.

**ლუკა**

(თავისთვის)

რა ხდება? სად ვართ? მძინავს თუ მესიზმრება ეს ყველაფერი?

**არიშიჩი**

გესიზმრება? ჰი-ჰი-ჰი... შეიძლება ასეც ითქვას...

და შეიძლება არც ითქვას ასე!




**ლუკა**

აბა, როგორ უნდა ითქვას?

**ზინა**

მორჩით ყაყანს!

თვითონაც ვაგონეტში შედის, ზინას გვერდით ჯდება, ლეედის გაკეთებას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. უცნაური ლეედია, მხარილღივ ორივე მხრიდან კეთდება როგორც





პარაშუტის სამაგრი; თან გადაბმის ადგილას მკერდის მხარეს მსხვილი წითელი ლილაკი უკეთია. პაბლო თავისი ადგილიდან დგება, ლუკას ეხმარება ღვედის გაკეთებაში.

## პაბლო

(ლუკას)

უამისოდ არ შეიძლება. და კიდევ, დამახსოვრე, როგორც კი  
ლილაკი აინთება და სიგნალს დაიწყებს, მაშინვე ხელი  
დააჭირე. მანამდე ხელი არ ახლო. ნნ-ნნ-ნნ...

პაბლო ისევ თავის ადგილს იკავებს. აფექსი ვაგონეტის ფსკერიდან მსხვილ ჯოხს იღებს, რომელსაც იქნევს და ჯოხივ ანტენასავით იძლევა. ჯოხით ქვის იატაკს ანეება და, როგორც მენავე ნავს, ვაგონეტს ძრავს. მერე ჯოხს ისევ კეცავს და ვაგონეტის ფსკერზე დებს.

ვაგონეტი თავიდან ნელა მიიწევა, მაგრამ თანდათან სისწრაფეს კრეფს. თან დაღმართი იწყება. მალე ტყვიასავით აღმა-დაღმა მიექანება, როგორც "ამერიკული მთების" ატრაქციონის ვაგონი.

საგონეტი საკმაო ხანს მიქრის: ათას აღმართს და მოსახვევს გაივლის. ბოლოს სწორზე დადგება. მალე ლიანდაგის ბოლო გამოჩნდება. ბოლოში უზარმაზარი გადასაფარდნი ჩანს. ამ დროს ზინა ლუკას გვერდით ბერკეტს მკვეთრად დაქაჩავს და ლუკასაც კატა-პულტირებულღივით ჰაერში აისვრის. დანარჩენი მგზავრებიც ასევე ქვევით მიფრინავენ. თითქოს რალაცას დაეჯახა, ცარიელი ვაგონეტი მკვეთრად უკანვე ბრუნდება.

ქვევით უზარმაზარი სივრცე ჩანს. ლუკა გაფართოებული თვალებით იყურება ქვევით. უცბად მისი ღვედის წითელი ლილაკი ინთება და სიგნალს იძლევა. ლილაკს ლუკა ხელს აჭერს. უცბად მის ზურგს უკან პარაშუტი იხსნება. მისი თანამგზავრებიც თანმიმდევრობით ხსნიან პარაშუტებს.

ლუკა და მისი თანამგზავრები მოედანით ადგილას ეშვებიან.

## ინტ. მინისაქვაპითი

მოედანზე დაშვებისას შაოსნები სათვალეებს და პარაშუტებს იხსნიან, ლუკასაც ხსნიან, კეცავენ და სადღაც გადაიან. ზინა ლუკას კიდებს ხელს და რალაც კართან მიჰყავს.

## ზინა

ახლა ყველაფერს გაიგებ.

ზინა კარს აღებს. დიდ ოთახში შედიან, სადაც ოვალური მაგიდა დგას. ზინას ლუკა მაგიდასთან მიყავს. მაგიდის ერთ მხარეს უცნაურ კოსტიუმებში გამოწყობილი არსებები სხედან. ერთის გარდა, ყველანი მოხუცები არიან. ზოგს დიდი ყურები აქვს, ზოგს ხელზე სამი გრძელი თითი და ა.შ. მაგიდის მეორე მხარეს სულ სამი სკამია: აქედან ორი დაკავებულია – ერთზე ბიჭუნა ზის, მეორეზე გოგონა (ორივე ლუკას თანატოლები არიან). ბებიას ლუკა ცარიელ სკამთან მიყავს.

ზინა ტრიალდება, არსებებს თავის დაკერით ესალმება და მათ შორის ადგილს იკავებს. ყველაზე ახალგაზრდა ფეხზე დგება.

## ახალგაზრდა კაცი

(ბავშვებს)

ნუ გეშინიათ. აქ საფრთხე არ გემუქრებათ. ახლავე აგიხსნით ყველაფერს. მანამდე მინდა ერთი შეკითხვა დაგისვათ: რომელი თქვენგანი ოცნებობს, დიდი მეზღაპრე გახდეს?

**ენი**

მე!

**ლუკა**

მეც.

**სანდრო**

მეც...

## ახალგაზრდა კაცი

გილოცავთ! ამ ღამით თქვენ ამის შანსი მოგეცათ. ახლა ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ პანინაროს უხუცესთა საბჭო. ტეო... სიორა... ნაომი... ქალბატონი ზინაიდა... და თქვენი მონა-მორჩილი – მირჩა. გთხოვთ, წარმოგიდგინოთ თქვენი თავები.

**გოგონა**

ნინი.

**გიჟუნა**

სანდრო.

**ლუკა**

ლუკა.

**მირჩა**

დანარჩენს სიორა მოგახსენებთ.

**სიორა**

ალბათ უკვე იცით, პანინაროში თქვენ თქვენი გასალეხების გამო მოხვდით. ეს ჩვენი და თქვენი სამყაროების დამაკავშირებელი კარის გასალეხია. დედოფალს თქვენთვის მათი წართმევა უნდა. (პაუზა) მაგრამ ძალით ვერ წაგართმევთ. ასეთი წესია.







ამ ღამით ის ყველაფერს იღონებს, რომ თქვენ თვითონ  
გათქმევინოთ უარი გასაღებებზე. შეშინებით, მოტყუებით,  
ან თავის მოქონვით. ყოველწლიურად ასე ხდება. წელიწადში ერთხელ  
რამდენიმე ბავშვს ეს გასაღებები ყოველთვის სხვადასხვა ფორმით  
გადაეცემა თქვენს სამყაროში. ზოგი ქუჩაში პოლიოსს, ზოგი  
საკუთარ ჩანთაში, ზოგი ტრანსპორტში... ყოფილა შემთხვევა,  
როცა ლიმონათის ბოთლშიც კი უპოვნიათ...

**ნინი**

რაში გვჭირდება ეს გასაღებები?

**ტაო**

რაში? კარგი შეკითხვაა...

**სიორა**

გაგიკვირდებათ, მაგრამ თქვენ რჩეულები ხართ.

**ლუკა**

რჩეულები?

**სიორა**

თქვენ ხომ მეზღაპრეობაზე ოცნებობთ.

**ნინი**

სულ ესაა?

**ტაო**

*(ზინას ჩურჩულით)*

რა მოუსვენარი გოგოა.

**სიორა**

თქვენ ძალიან გიყვართ ზღაპრები. მართალია, ბევრ ბავშვს  
უყვარს, მაგრამ თქვენ სხვანაირად აანალიზებთ ნაკითხულს.

**ლუკა**

როგორ სხვანაირად?

## სიორა

დიდი მეზღაპრეებივით... ასე ამბობენ იმ ზღაპრის გმირები,  
რომლებსაც თქვენ ხშირად კითხულობთ.

სიორა მაგიდაზე დაწყობილი წიგნებიდან ერთ-ერთს იღებს და ფურცლავს. ერთი  
შეხედვით ჩვეულებრივი ილუსტრირებული წიგნია.

## სიორა

პინოქიო!

ილუსტრაციიდან უცბად პინოქიო ამოყოფს თავს და საბჭოს მიესალმება.

## სიორა

ცნობ ამ ბავშვებს?

პინოქიო ბავშვებს უყურებს.

## პინოქიო

როგორ არა! როგორ არა! ესენი ყოველდღე  
კითხულობენ ჩემს თავგადასავალს!

პინოქიოს ყველას თვალწინ ეზრდება ცხვირი.

## ნაოზი

დაიწყო ამან თავისი. (სიორას)  
შენც ნახე, ვის კითხო.

სიორა წიგნს ხურავს. პინოქიოს ცხვირი გამოჩრილი რჩება, წიგნიდან ისმის მისი წრი-  
პინი: "ვაიმე, ჩემი ცხვირი! ვაიმე!" ბავშვები ერთმანეთს გაკვირვებული უყურებენ.

## ნაოზი

დრო ცოტა გვაქვს.

ნაოზი შლის სხვა წიგნს. ილუსტრაციიდან ვილი ვონკა ესალმება საბჭოს.

## ნაოზი

(ვონკას)

ვილი ვონკა, ცნობ ამ ბავშვებს?

ვონკა ბავშვებს აკვირდება.

### **ვილი ვონკა**

დახ. სამივეს ნაკითხული აქვს "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა".

### **სიორა**

გვითხარი, რას ფიქრობდნენ ისინი ჩარლის თავგადასავალზე?

### **ვილი ვონკა**

თითქმის იმას, რასაც ჩემი... როგორ ვთქვა... რასაც "ჩემი ავტორი" ფიქრობდა. (ბავშვებს აკვირდება) განსაკუთრებით, აი ეს (ლუკაზე ანიშნებს).

### **ლუკა**

მე-ე?

### **მძსტ. ქუჩები**

ცხენებშებმული ეტლი ჩირაღდნებით განათებულ ქალაქში მიექანება.

### **ინტ. კარაჭა**

კარეტაში გაკოჭილი ბონო, მობი და მოხუცი ყრიან. შეკრული ხელ-ფეხის გახსნას ცდილობენ. მობი შარვლის უკანა ჯიბიდან დასაკეც დანას იღებს, ხსნის და თოკის გადაჭრას ცდილობს. მალე ხელებს ითავისუფლებს. პირველ ყოვლისა მოხუცს უხსნის ხელ-ფეხს, შემდეგ ბონოს. ეტლი სასახლის ეზოს უახლოვდება.

### **ინტ. მიწისქვეშეთი**

#### **ნაოზი**

(ბავშვებს)

აიღეთ ნებისმიერი წიგნი.

ბავშვები იბნევიან, ვერ გადაუწყვეტიათ, რომელმა აიღოს.

#### **ნაოზი**

(სანდროს)

აიღე ნებისმიერი და გადაშალე.

მაგიდაზე დანყობილი წიგნებიდან სანდრო ალაღბედზე იღებს ერთ-ერთს და შლის. წიგნის ილუსტრაციიდან პიტერ პენი ამოფრინდება, მისალმების ნიშნად ქუდს მოიხდის საბჭოს წინაშე, მერე მაგიდის თავზე მერცხალოვით დაიწყებს ფრენას. ბავშვები გაკვირვებულნი უყურებენ მას.

### სანდრო

აუ, რა მაგარია!

### პიტერ პენი

რამდენი ხანია აქ არ ვყოფილვარ...

უჰუ-ჰუუ... ძინ-ძინ, სად ხარ?

### ნაოში

პიტერ... პიტერ! დამშვიდდი. შენ აქ საქმეზე ხარ.

უცბად პიტერ პენი მაგიდის კუთხეზე ჩიტივით ჯდება და სერიოზულ სახეს იღებს.

### პიტერ პენი

აა-აა, გასაგებია! ბავშვების ახალი პარტია... ახალი იმედები...

ჰი-ჰი-ჰი, ამათაც შარშანდელივით არ მოუვიდეთ.

### სიორა

ჩვენც ეს გვინდა.

### ნინი

შარშან რა მოხდა?

### ნაოში

უკვე რამდენი წელია, ვერც ერთი ბავშვი ვერ ინარჩუნებს გასაღებს.

### პიტერ პენი

ო, ვერც ერთი... წარმოგიდგენიათ?! მაგრამ ეს გოგო ვილაცას მაგონებს...

(ნინის ეპრაჩება) შეიძლება წელს ერთი გასაღები არ დაიკარგოს!

### ფერია

(ილუსტრაციიდან)

პიტერ! ბევრს ლაქლაქებ!

პიტერ პენი მხრებს იჩეჩავს და ისევ ჰაერში ფრინდება. ილუსტრაციიდან ფერია (*Tinker Bell*) ამოყოფს თავს და ნინის აკვირდება.

## **ფარია**

ვინ? ეს შეინარჩუნებს გასაღებს? ჰა-ჰა-ჰა!

## **ნაომი**

(პიტერ პენს)

პიტერ, საკმარისია!

## **ნინი**

ეს მართლა რა ეჭვიანი ყოფილა!

## **პიტერ პენი**

კაი, მე წავედი!

პიტერ პენი წიგნში თავით ისე ეშვება, როგორც აუზში. სანამ სიორა წიგნს დახურავს, ილუსტრაციიდან უცბად ფერია ამოიხედავს და ნინის ენას უყოფს.

## **სიორა**

ყველა ზღაპრული გმირი, რომლებიც თქვენ იცით,

პანინაროში ცხოვრობდნენ.

## **ლუკა**

კარლსონიც, ბეჭდების მბრძანებლებიც და ჰარი პოტერიც?

## **მირჩა**

რასაკვირველია.

## **ტაო**

დიდ მეზღაპრეებს, ანუ ვისაც გასაღები აქვს, ნებისმიერ დროს

შეუძლია პანინაროში შემოსვლა და ჩვენი მოქალაქეების

თავის ნაწარმოებებში აღწერა.

## **სიორა**

ჩვენ ამას "ბილეთს ერთი მიმართულებით" ვეძახით.

## **სანდრო**

რატომ ერთი მიმართულებით?

### **ტიუ**

იმიტომ რომ, როგორც კი რომელიმე ჩვენი მოქალაქე ამა თუ იმ წიგნის გმირი ხდება, ავტომატურად პანიწაროდან ქრება და სამუდამოდ თქვენს სამყაროში გადმოდის.

### **სიორა**

ანუ მათზე დედოფლის ძალაუფლება აღარ ვრცელდება.

### **ლუკა**

რად უნდა ყველას პანიწაროდან წასვლა?

### **ტიუ**

დედოფალ ანას გამო, ძალიან გართულდა ჩვენთან ცხოვრება. მას ყველაფრის კონტროლი უნდა.

### **სიორა**

უბრალო მოქალაქემ ქოთნის ყვავილი რომ მორწყას ან კარტოფილი შეწვას, ესეც კი სპეციალურ სამსახურთან წინასწარ უნდა შეათანხმოს და შესაბამისი ნებართვა აიღოს. იქ კი იმხელა რიგია, სანამ უფლებას აიღებ, შეიძლება ყვავილი გახმეს ან შიმშილით მოკვდე.

### **მირჩა**

ციხეებშიც აღარ დარჩა ადგილი. მაგალითად, სიორას შვილი ხუთი წელია მარტო იმიტომ იხდის სასჯელს, რომ თავის დაბადების დღეზე ათის ნაცვლად, ტორტში შემთხვევით ცხრა სანთელი ჩაარჭო.

### **სიორა**

დედოფლის ბრძანებით ზღაპრების კითხვა აკრძალულია, რადგან ყველა ზღაპრის გმირი ქვეყნის მოლაღატედაა გამოცხადებული.

### **ზინა**

საკუთარი სახელიც აღარავის შერჩა. ყველას და ყველაფერს ყოველწლიურად უცვლის. ამის გამო ჩემი ნამდვილი სახელი აღარც კი მახსოვს.

### **ტიუ**

წიგნში ცხოვრება ჩვენთვის იგივე თავისუფლებაა.

## **ექსტ. სასახლის ეზო**

ეზოში ხალხმრავლობაა. ბლომად არიან იარაღსხმული შავბერეტიანი გვარდიელები. ერთი-ორი შავი ფრაკი და ცილინდრიც ჩანს. ასევე ჩანს მელოტი თავები. დაძაბულობა შეიმჩნევა. აქვე არიან უცნაურად კოსტიუმირებული არსებებიც: რალაციტო ორკებისა და ჰობიტების ნაერთს გვანან. მამაკაცები ერთმანეთში დაძაბულად საუბრობენ. მერე სამნი სასახლის კიბისკენ მიდიან: წინ ჩვენი ნაცნობი მოხუცი მიუძღვით. მოხუცი ხელჯოხს ქვაფენილზე აკაკუნებს.

სამეული სასახლის კიბეზე აღის. შესასვლელთან ყარაული სწორდზე დგას: ორი მაღალი და ჯანიანი ბრინჯაოსკანიანი არსება. ორივეს შავი სათვალე უკეთია და სადღაც სივრცეში იყურება. დაკუნთულ ტანზე სამხედრო კამუფლაჟი ასკდებათ. ფეხზე სქელ-ძირიანი საველე პრიალა “ბათინკები” აცვიათ. ყარაულის თავზე კედელზე სათვალ-თვალო ვიდეოკამერებია. სამეული სასახლეში შედის.

## **ინტ. მიწისქვეშაში**

### **ლუკა**

თავისით ვერ მიდიან?

### **ტაო**

სამწუხაროდ, ვერა. პანიწაროელი აუცილებლად გამცილებელმა უნდა გაიყვანოს ჩვენი სამეფოდან.

### **ნინი**

გამცილებელმა?

### **სიორა**

ასე ვეძახით ჩვენ მეზღაპრეს... როგორც ქარონს გადაჰყავდა მგზავრები ჰადესის მხარეს ნავით, ისე მეზღაპრეს გაჰყავს ჩვენი მოქალაქე თქვენს სამყაროში.

## **ინტ. სასახლე**

ყველა ოთახი განათებულია. სამეული ჩქარი ნაბიჯით გაივლის ოთახებს. აქა-იქ მსახურებს და ლაქებს ვხედავთ. ზოგი ბორბლებიან მაგიდას მიაგორებს, რომელზეც ნაირ-ნაირი კერძები და ნამცხვრები აწყვია. ზოგსაც ხილით სავსე სინები უჭირავს.

**ლუკა**

ესე იგი, ლინდგრენსაც ჩვენნაირი გასალები ჰქონდა, ანდერსენსაც და ძმებ გრიმებსაც?

**სიორა**

ზუსტად!

**ტაო**

როგორც მიხვდით, ახლა თქვენზეა ყველაფერი დამოკიდებული.

**სანდრო**

ანუ, მთავარია, გასალები შევინარჩუნოთ?

**ტაო**

ჰო, მაგრამ ეს არც ისე იოლია. დედოფალი ყველაფერს ეცდება, რომ გასალები დაგათმობინოთ. ასე რომ, მეზღაპრეობა თუ გინდათ, უნდა გაძლოთ.

**ლუკა**

სადამდე?

**სიორა**

დიდამდე.

**ნაოში**

*(მაჯის საათზე იხედება)*

მაგრამ საქმე ისაა, რომ დედოფალი მალე ალბათ დროს გააჩერებს. და ეს ღამე თქვენ შეიძლება გრძლად მოგეჩვენოთ.

**ენი**

დედოფალს დროის გაჩერებაც შეუძლია?

**სიორა**

დედოფალს არა, ტაიმექსი, რომელიც დედოფლის ბრძანებას უყოყმანოდ ასრულებს.



## **ინტ. სასახლე. დედოფლის ოთახი**

მდიდრულად მოწყობილი ოთახი: ნახევრად ძველებური, ნახევრად თანამედროვე. კედელზე დიდი პლაზმური ეკრანი კიდია. თეთრ ხალათში გამოწყობილი დედოფალი (შუახნის ლამაზი ქალი) ნახევრად წამოწოლილია შებლონგივით სავარძელში, ფეხი ფეხზე უდევს. სახეზე სახის მკვებავი ხასხასა მწვანე ნილაბი უკეთია, თვალეზე კიტრის მრგვალი ნაჭრები ადევს. ხელები სავარძლის სამკლავურებზე უწყვია. ორივე მხრიდან ელფებივით დიდყურიანი არსებები მანიკურს უკეთებენ. კარზე კაკუნია. შემდეგ კარი იღება და ოთახში სამეული შემოდის.

### **მონუსი**

თქვენო უდიდებულესობავ...

### **დედოფალი**

მოიყვანეთ პატარა ქურდები?

### **მონუსი**

თქვენო უდიდებულესობავ, თავს დაგვეხსნენ...

დედოფალი თავის მარჯვენა ხელს ართმევს ელფივით არსებას, საჩვენებელი და ნეკა თითებით ცალი თვალიდან კიტრის ნაჭერს იღებს, პოლიციელებს ათვალეირებს.

### **დედოფალი**

ბრიყვებო! ხომ გაგაფრთხილეთ, შარშანდელი არ განმეორდეს-მეთქი!

### **მონუსი**

თქვენო უდიდებულესობავ, უსაფრთხოების ზომები მიღებული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ინფორმაციამ შიგნიდან გაჟონა.

### **დედოფალი**

როგორ ყველაფერზე გაქვთ ხოლმე პასუხი...

### **მონუსი**

თქვენო უდიდებულესობავ, შარშანაც ასე იყო, მაგრამ მაშინაც ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. ბოლო წლებში ყველა გასაღები დავიბრუნეთ.

## დედოფალი

გასაღებები, გასაღებები, გასაღებები... აღარ შემძლია ამ სიტყვის  
გაგონება! (თავისთვის) ახლავე ტაიმექსი მჭირდება. (მოხუცს)  
და სასწრაფოდ იპოვეთ ბავშვები!

პოლიციელები თავს უკრავენ, ადგილზე ტრიალდებიან და გამართული ნაბიჯით ოთახი-  
დან გადიან.

## ინტ. ვინისკვეპითი

საბჭოს სხდომა გრძელდება. უცბად ზინას რაციიდან ხმა ისმის: “ქალბატონო ზინაიდა,  
მალე აღმოგვაჩენენ. ბავშვები უნდა დავაბრუნოთ”.

## სანდრო

სახლებში ვბრუნდებით?

## ნაოზი

არა. როგორც გითხარით, ამ ღამის გატარება  
პანიწაროში მოგიწევთ.

## სიორა

თუ, რა თქმა უნდა, გასაღებს არ დათმობთ.

## ნაოზი

აქ ველარ გაგაჩერებთ.

## ლუკა

სად მივდივართ?

## ტაო

ზევით, ქალაქში. სამწუხაროდ, ჩვენ მეტი  
ვერაფრით დაგეხმარებით.

## სანდრო

როგორ? უთქვენოდ?

## ტაო

თქვენი არჩევანი თვითონ უნდა გააკეთოთ.

ხმა რაციიდან: "დროზე! პოლიცია ახლოვდება!"

**ნინი**

ახლა რა უნდა ვქნათ?

**სიორა**

ახლა ქალაქში აგიყვანთ. დანარჩენი თქვენზეა.

ზინა მოსასხამიდან კარტის დასტას იღებს, როგორც კრუპიე, მაგიდაზე ნახევარმთვარესავით რკალად შლის. კარტის ნაჭრები ოდნავ ვიბრირებენ. ზინა სამ კარტის ნაჭერს ატრიალებს.

**ზინა**

ტარო!

კარტის ფურცლები უცბად მასხარად, განდევილად და რაინდად იქცევიან. საბჭოს მიმართ სამივენი მონიწილებას გამოხატავენ.

**ზინა**

ბავშვები ქალაქში აიყვანეთ!

უხუცესები ფეხზე დგებიან.

**სიორა**

(ბავშვებს)

ჩვენ გვეჯერა თქვენი.

**ნაომი**

თქვენს სამყაროში ახალ ზღაპრებს ელოდებიან.

**სანდრო**

დედოფალს არ შეუძლია, რომ...

**ნაომი**

რომ რა?

**სანდრო**

... რომ მოგვეკლას?

## ნაოში

არა, არ შეუძლია. როგორც ზღაპრის გმირები არიან თქვენს  
სამყაროში უკვდავები, ისე თქვენ ვერავინ მოგკლავთ აქ.

## ტაო

სამნუხაროდ, თქვენი ნვალება შეუძლიათ...

უხერხული დუმილი ვარდება.

## მირჩა

(ბავშვებს)

მოდით აქ... და ერთმანეთს ზურგით მიეყუდეთ.

ბავშვები ასეც იქცევიან. მირჩა მასხარას, განდეგილს და რაინდს თავს მოკლედ უკრავს – ნიშანს აძლევს. ისინი ბავშვებს უახლოვდებიან, ერთმანეთს ხელს კიდებენ და ასე ხელჩაკიდებულნი, ბავშვებს წრეს არტყამენ. მასხარა, განდეგილი და რაინდი თვალებს ხუჭავენ და უცნობ ენაზე რალაცის ბუტბუტს ინყებენ ერთდროულად. ბავშვების გარშემო ყველაფერი ტრიალს ინყებს. ჯერ ნელა, მერე ძალიან სწრაფად. თვითონ ბავშვები უძრავად დგანან, მხოლოდ მათ გარშემო ტრიალებს გარემო – ისე სწრაფად, რომ წესიერად ველარაფერს ხედავენ. ბავშვებს ნიავი თმებს უფრიალებს.

## ქაქა

უცბად ყველაფერი ქრება. ბავშვები მთვარით განათებულ ვიწრო ქუჩაში მარტო დგანან. გაკვირვებულები აქეთ-იქით იხედებიან. ქუჩის ორივე მხარეს ერთსართულიანი და თითქმის ერთნაირი სახლებია ჩამწყვილებული. რამდენიმე ფანჯარაში მკრთალი შუქი კრთება, ფარდაც ირხევა, თითქოს იქიდან ვილაცეები ბავშვებს უთვალთვალებენ.

## ლუკა

ცივა... (ჩურჩულით) არ გაიხედოთ, მგონი გვითვალთვალებენ.

## სანდრო

სად ვართ?

## ნინი

არა მგონია ლონდონში ვიყოთ... და ახლა ცხელი ჩაი მოგვართვან.

## სანდრო

აქ ვიდგეთ?

## ნინი

თქვენი არ ვიცი, მე კი არ ვაპირებ მთელი ღამე აქ ყოფნას.

## ლუკა

არჩევანი დიდი არ გვაქვს, მარცხნივ ან მარჯვნივ...

## სანდრო

ჩუ!.. გესმით ხმები?

ამის თქმაზე შორიდან ფლოქვების თრაქა-თრუქი და რალაც ხმები ისმის. ხმები სწრაფად ახლოვდება.

უცბად ერთ-ერთი სახლის სახურავზე პროექტორი ინთება. ბავშვები ადგილიდან ველარ იძვრიან, თვალდახუჭული დგანან. ძლიერი შუქი თვალს ჭრით.

ამავდროულად ქუჩის ორივე მხრიდან ეტლი, რამდენიმე მხედარი და ქვეითი პოლიციელები უახლოვდებიან. ხელში ავტომატები უჭირავთ. რამდენიმე პოლიციელი ბავშვებს წრეს არტყამს. თითქოს თავდასხმის მოლოდინში არიან, დანარჩენები აქეთ-იქით იყურებიან. ერთ-ერთი რაციოში ამბობს: "შეფ, ბავშვები ვიპოვნეთ!" რაციოდან ბრძანება ისმის: "ახლავე სასახლეში!"

## ერთ-ერთი პოლიციელი

მოჯო!

ყველაზე დაბალი და უშნო პოლიციელი თავისი სახელის გაგონებაზე სწორდზე დგება, მერე ბავშვებთან გაჯგომული მიდის, თითქოს მნიშვნელოვან დაეალებას ასრულებს, ორივე მხრიდან სანდროს და ლუკას ხელებს უყრის, ეტლთან მიყავს.

## მოჯო

(ბიჭებს)

დროზე შიგნით!

ბიჭები ერთმანეთს უყურებენ, მერე კარეტაში სხდებიან. ამის შემდეგ მოჯო ნინისთან ბრუნდება. ისაა, ხელი უნდა გაუყაროს, მაგრამ ნინი არ ანებებს.

## ნინი

მე თვითონ.

ნინი თავისით მიდის ეტლთან, კარეტაში ჯდება. ეტლის კოფოზე ორი პოლიციელი ძვრება. კარეტაშიც ორი პოლიციელი უჯდება ბავშვებს. კიდევ ორი ავტომატიანი ეტლის უკან სადგამზე დგება. ერთ-ერთი კოფოზე შემომჯდარი ცხენებს მათარახს გადაუჭერს. ეტლი ადგილს წყდება. შეიარაღებული მხედრები ეტლს ქუჩებში მიაცილებენ.

)

## **ინტ. სასახლე. დედოფლის ოთახი**

დედოფალი ფანჯარასთან დგას, ტელეფონით ლაპარაკობს.

### **დედოფალი**

ტაიმექს, ეხლავე დრო გააჩერე... ჩემი ბრძანებაა.

## **ინტ. ტაიმექსის სახლი**

სასტუმრო ოთახში შილიფად ჩაცმული მალალი, გამხდარი კაცი დგას, ტელეფონით ლაპარაკობს.

### **ტაიმექსი**

(ტელეფონით)

არის, თქვენო უდიდებულესობავ!

## **ინტ. კარატა**

ბავშვები კარეტაში პოლიციელების პირდაპირ გვერდიგვერდ სხედან. თითქოს ცვილის სახეები აქვთ, პოლიციელებს ნაკვეთი არ უტოკავენ. კარეტა მსუბუქად ინჯღრევა. ბავშვები პოლიციელებს მონუსხულებივით უყურებენ. ისინი თოჯინებივით არიან, კრინტს არ ძრავენ. სანდრო ნინის ყურში რალაცას უჩურჩულებს. ნინი თან უსმენს, თან პოლიციელებს უყურებს. მერე მხრებს იჩეჩავს.

### **ნინი**

ალბათ დედოფალთან.

## **ინტ. ტაიმექსის სახლი**

ტაიმექსი კედელზე დაკიდებულ ნახატთან მიდის, ნახატს გვერდზე წევს, ნახატის უკან კედელში სეიფია ჩამონტაჟებული. კრეფს კოდს, ხსნის სეიფს, სეიფიდან სათვალის ბუდეს იღებს. ხსნის ბუდეს, იღებს ლურჯ მრგვალმინიან სათვალეს, ირგებს ცხვირზე, შემდეგ კარს აღებს, ოთახიდან გადის.

ცოტა ხანში კედლის საათზე დრო ჩერდება: 03:22:34.

## **ინტ. დედოფლის ოთახი**

პლაზმური ეკრანი ჩართულია. ეკრანზე სასახლის კიბეები ჩანს. დედოფალი შირმის უკან დგას. მოახლე ქალი ზურგზე კორსეტს უკრავს. დედოფალი შირმის ზევიდან ეკრანს უყურებს. ჩანს, როგორ ამოყავთ პოლიციელებს კიბეებზე ბავშვები. დედოფალს კმაყოფილს ელიმება. პულტს ეკრანს უშვერს, ლილაკს თითს აჭერს. ეკრანზე გამოსახულება იცვლება. ჩანს, როგორ შემოყავთ პოლიციელებს ბავშვები სასახლეში. დედოფალს ელიმება. პულტით ისევ ეკრანს უშვერს. სხვა არხს რთავს. ეკრანზე გამოსახულება იცვლება. *Fashion TV* ირთება: ნაირგვარ კოსტიუმებში გამოწყობილი მოდელები პოდიუმზე დადიან. ამ დროს კაკუნია. კარი იღება. ოთახში მოხუცი შემოდის, იქვე ჩერდება, შირმისკენ არ იყურება, თავს მონივნებით ხრის.

### **მოხუცი**

თქვენო უდიდებულესობაე, ბავშვები სასახლეში არიან!

### **დედოფალი**

ჩააცვან!

## **ინტ. გარდერობი**

პოლიციელებს ბავშვები დიდ გარდერობში შეჰყავთ, სადაც სამი მსახური ელოდებოთ: ორი კაცი და ერთი ქალი. პოლიციელები ოთახიდან გადაიან, კარს ხურავენ. მსახურები ბავშვებს სანდომიანად ულიმიან, თან თავით ფეხებამდე მაღალი მოდის ექსპერტბივით ათვალეირებენ. თავს ისე აქნევენ, გასაგებია, ჩაცმულობას არ უწონებენ. საკიდებზე უამრავი ტანსაცმელი კიდია.

### **პირველი მსახური**

ოო-ოო, რა საშინელებაა.

### **ინი**

რა?

### **მეორე მსახური**

თქვენი კოსტიუმები.

### **ლუკა**

(*ლამის პერანგს ითვალეირებს*)

ეს ლამის პერანგია...

## პირველი მსახური

შესაძლოა... მაგრამ ღამის პერანგით მეჯლისზე მგონი არ დადიან.

### სანდრო

რა მეჯლისი?

## პირველი მსახური

არ იცით? დედოფალი ანა თქვენს პატივსაცემად მეჯლისს მართავს.

ოთახში დუმილი ჩამონება. ნინი კაბებს ათვალერებს. მსახურები ბავშვებს თერძის თვალთ ზომავენ, უცბად ტრიალდებიან, საკიდდან ტანსაცმელს ხსნიან.

### ძალი მსახური

(ნინის იასამნისფერ კაბას უწვდის)

მგონი ეს კაბა მოგიხდება.

## ინტ. სასტუმრო ღარბაზი

ღარბაზში დიდი II-ს ფორმის მაგიდაა განწყობილი. მაგიდის გარშემო საზეიმო კოსტიუმებში გამოწყობილი ხალხი და უცნაური არსებები სხედან. მაგიდა ნაირ-ნაირი კერძებითა და სინებითაა სავსე, რომელზეც ხილი აწყვია. როგორც თეატრში ნარმოდგენის წინ, მსუბუქი გუგუნი ისმის: ხალხი ერთმანეთში ხმადაბლა საუბრობს. ოთახი გუმბათოვანია. ქერში უზარმაზარი თალი კიდია, რომელიც გიგანტური ბრილიანტივით თვალისმომჭრელად ბრდღვიალებს.

მაგიდიდან რამდენიმე ნაბიჯზე სამსაფეხურიან ამალეებაზე ორი მალალზურგიანი ტახტრევენი დგას. ერთზე დედოფალი ზის, მეორეზე – მისი ქალიშვილი, პრინცესა ლეა (ჩვენი ბავშვების თანატოლია). დედოფალს თეთრი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მალალსაყელოიანი კაბა (დეკოლტე) აცვია. თავზე ძვირფასი დიადემა ადევს. ხელები სამელაურებზე უწყვია. პრინცესაც ლამაზადაა გამოწყობილი, თუმცა უფრო მოკრძალებულად. დედოფლისა და პრინცესას ტახტრევენებს შორის ვინრო თხელვებებიანი ვერცხლის მაგიდა დგას. მაგიდაზე ტრიუფელით სავსე ვერცხლის თეფში და მალალ-ფეხიანი ბროლის ჭიქები დგას. ერთ ჭიქაში მოყვითალო შუშხუნა სითხე ასხია, მეორეში მონითალო-მოვარდისფრო.

ღარბაზში შემოსასვლელი მაღალი კარი იღება. შემოდინან ბავშვები. ახალი კოსტიუმები აცვიათ. თმაც დაუვარცხნიათ. ყველანი ჩუმდებიან: ბავშვებს უყურებენ. დედოფალი ფეხზე დგება.

### დედოფალი

აი ჩვენი პატივსაცემი სტუმრებიც! აქამდე რომ მოეღწიათ,

მათ საკმაოდ გრძელი გზა გაირეს. იმედი მაქვს, უკმაყოფილო

არ დარჩებიან ჩვენი მასპინძლობით. (პაუზა) ქალბატონებო და ბატონებო,

გთხოვთ, უმასპინძლოთ!



დედოფალი ტახტრევანზე ჯდება, მსახურებს ნიშანს აძლევს, მაგიდიდან ჭიქას ხელში იღებს, სითხეს წრუპავს. მის ნიშანზე მსახურები ბავშვებთან მიდიან, მისალმების ნიშნად, თავს მოკრძალებით უკრავენ.

### **პირველი მსახური**

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ბავშვები არაფერს პასუხობენ, ამდენი ყურადღებისგან დაბნეულები ჩანან, თვალებს აქეთ-იქით აცეცეებენ. ლუკა და პრინცესა ლეა თვალებით ერთი ნაშით ერთმანეთს შეხედებიან.

### **ნინი**

*(ჩურჩულით)*

მე ყველაფერი სხვანაირად წარმომედიანა...

### **სანდრო**

ეს ყველაფერი ჩვენს გამო გაკეთდა?

### **მეორე მსახური**

აქეთ მობრძანდით.

ბავშვები მსახურებს მიყვებიან. თან აქეთ-იქით იყურებიან: ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავს და ანათებს. ისმის ჭიქების წკრიალი და შორეული კისკისი. ვილაცხები დრო-დადრო ბავშვებისკენ ნაშით იხედებიან, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება. ერთად სამი ცარიელი ადგილი არ აღმოჩნდება. ერთ-ერთი მსახური პირველ ცარიელ სკამს გამოწევს.

### **პირველი მსახური**

*(ნინის)*

გთხოვთ!

დანარჩენ მსახურებს ლუკა და სანდრო ოდნავ მოშორებით მიჰყავთ. როგორც ნინის, იმათაც ცალ-ცალკე დასვავენ მაგიდასთან.

სხვა მსახურები სტუმრებს თავს დასტრიალებენ. ზოგს ახალი კერძები შემოაქვს, ზოგი სტუმრებს ჭიქას უვსებს და ა.შ.

### **ინტ. სასტუმრო ღარბაზი**

სტუმრები ერთმანეთში საუბრობენ. ზოგი სასმელს წრუპავს, ზოგი საჭმელს მიირთმევს. ლუკას თეფში ცარიელია, ხოლო ჭიქა რაღაც სითხით სავსე: ჩანს, პირი არაფრის-

თვის დაუკარებია. ლუკას მარჯვნივ ახალგაზრდა გრძელცხვირა კაცი ზის, მარცხნივ – ახალგაზრდა ქალი, რომელიც დროდადრო ხმამაღლა კისკისებს. კაცი ლუკას რალაცას მონდომებით უყვება, ცალ ხელში ჩანგალი უჭირავს, რომელზეც ხორცის ნაჭერია ნამოცმული, მეორე ხელით მონაყოლს აფორმებს. ლუკა თან მამაკაცს უსმენს, თან ცალი თვალით სანდროსა და ნინისკენ იყურება. ხედავს, იმათაც ასევე რალაცას უყვებიან. სულ ერთი წამით ლუკა და ნინი თვალებით ერთმანეთს შეხვდებიან. სამივე ბავშვთან მსახურები (ხელზე თეთრი თათმანები აცვიათ) ერთდროულად მიდიან, ხელში პრილა ვერცხლისფერთაესახურიანი თევში უჭირავთ. მსახურები ბავშვების ხელუხლებელ თევშებს იღებენ, მათ ნაცვლად ახალს უდგამენ, თავსახურს ხდიან. ლანგარზე ლამაზად გაფორმებული სანებელმოსხმული კერძი დევს.

### **ბრძელსვირა მამაკაცი**

(ლუკას)

ოო-ოო, ეს აუცილებლად უნდა გასინჯოთ! ასეთ რამეს ყოველდღე ვერ მიირთმევ.

ლუკას მარცხნივ მჯდომ ახალგაზრდა ქალს კერძის დანახვაზე სასიამოვნო აღლევება ეტყობა. ლუკა კერძს უყურებს.

### **ბრძელსვირა მამაკაცი**

ეს კულინარიული ხელოვნების ნიმუშია, რომელსაც შეფ დიდი წელიწადში ერთხელ ამზადებს.

**ლუკა**

რა არის?

### **ახალგაზრდა ძალბატონი**

(თითქოს სუნამოს შემადგენლობას ასახელებს)

ბრონეულის ორთქლზე შემწვარი მთის კალმახის ფილე, ნაღები, ცოტაოდენი მუსკატი, წვრილად გახებილი შვეიცარიული ყველი, ნედლი ვაკამეს რამდენიმე ფოთოლი და კიდევ რალაც, რაც მხოლოდ დიდიმ იცის.

ლუკა ნერწყვს ყლაპავს, უჩუმრად ნინისა და სანდროსკენ იხედება. ისინი უკვე მიირთმევენ თავიანთ კერძს. ლუკა თვალის კუთხით შეამჩნევს, რომ პრინცესა მას უყურებს.

ლუკა იღებს დანა-ჩანგალს, თვითონაც სინჯავს კერძს. აგემოვნებს.

**ლუკა**

ასეთი გემრიელი არაფერი მიჭამია.





**ახალგაზრდა ძალგატონი**  
ჯერ დესერტი არ გაგისინჯავს.

ლუკა კერძს მალე ამთავრებს. ცარიელ თევზს დახედავს, ხელსახოცით პირს ინმენდს.

**ლუკა**  
რა ერქვა ამ კერძს?

**გრძელცხვირა მამაკაცი**  
"ბურიმე".

**ინტ. დედოფლის ოთახი**

ოთახი ცარიელია, პლაზმური ეკრანი ჩართული. ეკრანზე ჩანს რამდენიმე კადრი: სასახლის სხვადასხვა ფრაგმენტები. ჩანს სასტუმრო დარბაზიც, რაღაც ოთახები და ცარიელი დერეფნებიც, სადაც იშვიათად თუ გაივლის ვინმე. ჩანს რომელიღაც დერეფნის მონაკვეთი, სადაც უნიფორმაში გამოწყობილი მსუქანი არსება ზის მაგიდასთან და რაღაც უფრნალს ათვალერებს. არსება ციკლოპივით ცალთვალაა, გადმოკარკლული თვალი შუბლის შუაში აქვს, ერთმიანიანი სათვალე უკეთია. მაგიდაზე ღამის ლამპა და წყლის გრაფინი დგას, რომელზეც ჭიქაა წამოცმული. იქვე დევს უნიფორმის ქუდიც. ეკრანის ერთ კადრში ჩანს, როგორ გაივლის რომელიღაც დერეფანში ვიღაც შავ მოსახამიანი. შემდეგ იგივე ტიპი გაივლის სხვა დერეფანშიც. ეკრანს არავინ უყურებს.

**ინტ. სასახლე. სასტუმრო დარბაზი**

მსახურები სტუმრებს ყურადღებას არ აკლებენ. თევშებს მალ-მალე უცვლიან, ოდნავ ნაკლულ ჭიქებს უვსებენ და ა.შ. პარალელურად სულ ახალ-ახალი და ერთმანეთზე ლამაზად გაფორმებული კერძები შემოაქვთ. გრძელცხვირა მამაკაცი ნამდვილი გურმანია, ყველა კერძს კომენტარს უკეთებს.

**გრძელცხვირა მამაკაცი**

(ლუკას)

ამ ხობხის მკერდს არ გირჩევთ. "ბურიმეს" შემდეგ  
დაგამძიმებთ. (პატარა ვერცხლის თასზე ანიშნებს)

სამაგიეროდ, აი ეს ბულიონი ახლა ნამდვილი მისწრებაა...

ლუკა თითქოს არ უსმენს მამაკაცს. ჭამის შემდეგ თვალები ებლიტება, ხელსახოცს პირზე იფარებს, ჩუმადა ამთქნარებს. სანდროს და ნინისაც დალლილი სახეები აქვთ. ლუკა პრინცესასკენ იყურება, მაგრამ მისი ტახტურვანი ცარიელია. დედოფალი ისევ

ზის თავის ადგილზე და სასმელს წრუპავს. მის ჭიქას თითქოს არაფერი აკლდება. ლუკა აქეთ-იქით იყურება, მაგრამ პრინციპს ვერსად ხედავს. რალაც დროის შემდეგ მსახურები ნელ-ნელა მაგიდის ალაგებას იწყებენ. კერძიანი თევშები დარბაზიდან გააქვთ. სუფრაზე მხოლოდ ხილს ტოვებენ. შემოაქვთ ნაირ-ნაირი ნამცხვრები და ტკბილეული, ასევე ჩაის ფაიფურის ჭიქები და ფაიფურისვე ჩაიდნები.

## **ინტ. ღერეფანი**

ღერეფანში ისევ ის ციკლოპივით არსება ზის და ჟურნალს კითხულობს. შორიდან აღწევს მოგუდული ხმები. კედლის კუთხიდან წვრილი მილი ჩნდება. მილიდან ბუმბულიან ნემსს ისვრიან. ნემსი მსუქან არსებას კისერში ერჭობა. არსებას თავი მოცველივით უვარდება მაგიდაზე. გათიშულია, მხოლოდ თვალი აქვს ღია.

## **ინტ. ღედოფლის ოთახი**

ღედოფლის ოთახი ისევ ცარიელია. ეკრანზე ჩანს, როგორ აძრობს შავმოსასხამიანი გათიშულ არსებას კისრიდან ნემსს. არსებას თვალი ისევ ღია აქვს, მხოლოდ პირიდან გადმოსდის წერწყვი, რომელიც ჟურნალს ალბობს. სულ ერთი წამით ვხედავთ, რომ ის თურმე მამაკაცების ჟურნალს ათვალეირებდა. სადაც, საცურო კოსტიუმებში გამონყობილი ქალბატონები არიან აღბეჭდილი.

ეკრანზე ჩანს, შავმოსასხამიანი როგორ ალებს გისოსიან კარს, შედის ცარიელ ვინრო საკანში, სადაც ერთმანეთის პირისპირ ორი ორადგილიანი სანოლია კედელთან მიდგმული. შავმოსასხამიანი ერთ-ერთი ბალიშის წიბოს არღვევს, ბალიშში რალაცას ტენის. კედელზე ბალიშის გასწვრივ ფლომასტრით რალაც წარწერას აკეთებს. საქმეს მალევე ამთავრებს. ოთახიდან გამოდის, ღერეფანში მიდის. ცალთვალა არსებას გვერდით ჩაუვლის, ღერეფნის ბოლოში სწრაფად უჩინარდება.

## **ინტ. ღერეფანი**

ცალთვალა არსება გონს მოდის. ჯერ სახე უტოკდება, მერე ცალ თვალს აფახულებს. უცბად სკამზე სწორდება. ცხვირზე ჩამოცურებულ სათვალეს ისწორებს, ღერეფანში აქეთ-იქით იყურება. სახე ემანჭება. კისერზე ნანემსარი არა უმეტეს კოლოს ნაკბენივით ეტყობა. არსება ნანემსარზე ხელს ისვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერაფერს ხედავს. პირის კუთხეში წერწყვი მოუჩანს. არსება შარვლის ჯიბიდან დაკეცილ ცხვირსახოცს იღებს, პირს იწმენდს. გრაფინს ჭიქას ხდის. ჭიქას მაგიდაზე დგამს. გრაფინიდან წელით ცხვირსახოცს ასველებს. ცხვირსახოცს კისერში იფენს. წყალს ჭიქაშიც ასხამს, სვამს.

ისევ ღერეფანში იხედავს ექეთ-იქით, მაგრამ უშედეგოდ, ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არაა. არსება ჟურნალის თვალეირებას აგრძელებს.

## ინტ. სასტუმრო დარბაზი

ტახტრევანის უკნიდან პრინცესა ლეა გამოდის. კისერზე თხელი მენამული შარფი აქვს მოხვეული. ტახტრევანზე ჯდება.

**დედოფალი**

(პრინცესას)

სად იყავი?

**პრინცესა**

ჩემს ოთახში ავედი (შარფის ბოლოს ხელს კიდებს) ამისთვის.

დედოფალი შარფს ათვალიერებს, შემდეგ ჭიქას ვერცხლის მაგიდაზე დგამს, ფეხზე დგება.

**დედოფალი**

(დარბაზს)

სინიორებო და სინიორიტებო! (აუზა) გთხოვთ!

ამის თქმაზე დედოფლის უკან დიდი ფარდა, როგორც თეატრში, შუაზე იხსნება. დედოფლის უკან გრძელი, განიერი დერეფანი და სასტუმრო დარბაზისხელა საცეკვაო მოედანი ჩნდება. ფარდის გახსნისთანავე, დედოფლის უკან დერეფანი ნეონის ნათურებით ფრაგმენტულად და მიყოლებით ნათდება. როგორც დისკოთეკაზე, ნათურები ციმციმს იწყებს. სიღრმიდან ისმის ელექტრონული მუსიკა. სტუმრები ფეხზე ხტებიან.

ისმის მხიარული ხმები: “როგორც იქნა... დრო იყო... დილამდე ვიცეკვებთ... დღეს ვინ უკრავს?..” და ა.შ. სასტუმრო დარბაზი თანდათან ცარიელდება, ყველანი საცეკვაოდ გადიან. ძილმორეული ლუკა, სანდრო და ნინი უნებურად ხალხში ირევიან, ნაკადს სომნამბულებივით მიყვებიან.

## ინტ. საცეკვაო მოედანი

დერეფნიდან ხალხი საცეკვაო მოედანზე ჩქარი ნაბიჯით გადის. დიჯეი ოდნავ შემალღებულზე დგას და ფირფიტებს თითებით ატრიალებს. მუსიკას მიქსავს. დიჯეის გვერდით დიდი ხმის გამაძლიერებლები დგას. ისმის ხმამალალი მუსიკა. დიჯეის თავზე ბეისბოლისტის კეპი ახურავს, ყურებზე “ნაუშნიკები” უკეთია. როგორც დისკოთეკაზე, მოედანზე მოცეკვავე ხალხს ფოსფორისფერი ნათურები უნათებს სახეს.

ბავშვები მოცეკვავეებში დაძვრებიან, ერთმანეთს ეძებენ. დაღლილი სახეები აქვთ, თითქოს ეს-ესაა გააღვიძეს და ლოგინიდან წამოაგდეს. ცოტა ხანში ლუკას პრინცესა ლეა ხვდება. მუსიკა ხმამალლა უკრავს.

**ლეა**  
ვიციკვოთ?

**ლუკა**  
შეიძლება.

ლუკა და ლეა იწყებენ ცეკვას. ამ დროს სანდრო მოცეკვავეებში დაბორილობს, რომ თავის ამხანაგებს მიაგნოს. ერთ-ერთ კედელთან პატარა ლეკვს ხედავს. ლეკვი კანკალეებს. სანდრო ლეკვთან იმუხლება. აქეთ-იქით იხედება, მაგრამ ლეკვის დედას ვერ ხედავს. ჩამუხლულ სანდროს ლეკვი ხელში აპყავს, გულში იხუტებს, ეფერება. დედოფალი დარბაზის ერთ-ერთი ამალღებული კუთხიდან თვალისდაუხამხამებლად აკვირდება ბავშვებს. მოედანზე ისეთივე თეთრი კვამლია, როგორც სცენაზე კონცერტის ან სპექტაკლის დროს.

**ინტ. სანამეპალი ოთახი (საცეკვაო მოედანი)**

ამავდროულად ლუკა რაღაც კაფელით მოპირკეთებულ ოთახში შედის. მქრქალი განათებაა, ნეონის ნათურა ციმციმებს. ოთახი სანამებელ კამერას გაავს. ოთახის შუაში ელექტრო სკამი დგას, რომელზეც გრძელცხვირა მამაკაცია დაბმული. მამაკაცს ნანამები და შესიებული სახე აქვს, თვალები – ცრემლიანი, ჩაშავებული და ამონითლებული. მის გვერდით ორი თეთრხალათიანი (*ხალათები დასვრილია*) ახმახი ტიპი დგას. ყასბებს გვანან. ერთს კბილის ამოსაღები ხელსაწყოსავით რაღაც უჭირავს, მეორეს კაბელიანი პულტი, რომელიც სანამებელ სკამზეა მიერთებული. ეს უკანასკნელი პულტზე ლილაკს აჭერს. ისმის ზუზუნი, სკამზე დაბმული მამაკაცი იკრუნჩხება. ჩანს, დენს არტყამს. მეორე ახმახი გრძელცხვირას ხელის თითს ამტვრევს და ა.შ. მამაკაცს სიმწრის ცრემლი სდის. თან ეტყობა, კბილები აღარ აქვს. ლუკა შეშინებული უყურებს მის წამებას.

ეს ყველაფერი ცეკვის პარალელურად ხდება. ანუ ლუკა თან ლეას ეცეკვება, თან სანამებელ ოთახში დგას. ახმახები ერთი წუთით სკამის უკან დგებიან, რაღაცაზე ჩუმად ბჭობენ.

**ბრძელსხვირა მამაკაცი**

(*ლუკას ვედრებით*)

გააჩერე, გეხვენები!

**ლუკა**  
როგორ?

**ბრძელსხვირა მამაკაცი**

გასაღებს თუ მისცემ, შემეშვებიან.



ლუკა კისერზე დაკიდებულ გასაღებზე იკიდებს ხელს. (ლუკა თან სანამებელ ოთახში დგას, თან ლეას ეცეკვება. დედოფალი თვალისდაუხამხამებლად უყურებს მას.)

## **მქსტ. დიდი ველი (საცეკვაო მოედანი). დღე**

პარალელურად სანდრო დიდ მწვანე ველზე დგას. ველი ცარიელია. სანდრო აქეთ-იქით იხედება, სულიერის ჭაჭანება არაა. მხოლოდ ერთ მომენტში შორს რაღაც წერტილს დაინახავს. სანდრო იმ წერტილისკენ მიდის. როგორც სიზმარში, წერტილს ფანტასტიკურად სწრაფად უახლოვდება. როგორც ირკვევა, ვიღაც უცნობი ტიპი (ყურებზე, ტუჩებზე და ნესტოებში უამრავი ვერცხლის მსხვილი საყურე და პირსინგი უკეთია; მკლავები ფერადი ტატუთი აქვს დაფარული; ცხიმით გაპოხილი ტყავის ფილეთი აცვია) დგას წყლით სავსე კასრთან, რომელსაც ორი თითით კისრის კანით ის ლეკვი უჭირავს, რომელსაც სანდრო ამას წინათ ეფერებოდა (პარალელურად ჩანს, რომ სანდრო ისევ საცეკვაო მოედანზეა ჩამუხლული და იმავე ლეკვს იხუტებს) და წყალში ახრჩობს. უფრო სწორად, ანამებს, ჩაძირავს, ცოტა ხანს წყალში აჩერებს (ამ დროს წყლის ზედაპირზე ბუშტულები ჩნდება) და უკანვე ამოყავს. მალე იმავეს იმეორებს. წყლიდან ამოყვანისას ლეკვი სანყალობლად წკმუტუნებს. უცბად ჩერდება მსუქანი კაცი, სანდროს პირდაპირ თვალბეჭდით ვაჭაროვით უყურებს. თან ეშმაკურად იცინის. წვრილი ეშვები მოუჩანს. მსუქანი კაცი სანდროს თავით ფეხებამდე ათვალეიერებს.

**მსუქანი კაცი**

**გავცვალოთ?**

**სანდრო**

**რა?**

მსუქანი კაცი სანდროს თავით ფეხებამდე ათვალეიერებს. თითქოს ფიქრობს, რაში გაუცვალოს. ბოლოს სანდროს კისერზე დაკიდებულ გასაღებზე შეაჩერებს მზერას.

**მსუქანი კაცი**

**აი ეგ (გასაღებზე თავით ანიშნებს) და ეს (ლეკვს პაერში წევს).**

სანდრო ხელს მექანიკურად ძენკვზე იკიდებს (სანდრო თან წყლიან კასრთან დგას, თან საცეკვაო მოედანზე ჩამუხლული ლეკვს იხუტებს. დედოფალი თვალისდაუხამხამებლად უყურებს მას).

## **ინტ. ტაგილულის ვალაზია (საცეკვაო მოედანი). დღე**

პარალელურად ნინი ვილაცას ეცეკვება, თან ამავდროულად ღამაზ ძველებურ, თავადის ქალის მდიდრულ კაბაში გამოწყობილი, საოცრად ფერად, დიდ მრავალგანყოფი-

ლებიან ტკბილეულის მაღაზიაში. მაღაზიაში ოდნავ ბურუსია. ყველაფერი ზღაპრულად ბრჭყვიალებს. რამდენიმე მყიდველი ვიტრინებსა და დახლებზე გამოფენილ ნამცხვრებს, ჟელეს ბურთულებსა და შოკოლადის ფილებს ათვლიერებს. თითოეულ მყიდველს მომსახურე პერსონალი დასტრიალებს თავს. მაღაზიის შუაში პატარა შადრევანია, სადაც ცხელი შოკოლადი მოედინება. ნინის ადამიანის სიმაღლის ჟელეს დათვი უახლოვდება. სანდომიანი სიფათი და ჟელეს კეთილი თვალები აქვს.

### **ჟელეს დათვი**

შემიძლია გემსახუროთ?

ნინი არისტოკრატიულად თავს სულ ოდნავ გვერდზე ხრის.

### **ჟელეს დათვი**

აქეთ მობრძანდით.

ნინი დათვს მიყვება. დათვი დახლთან მიბაჯბაჯებს, სადაც მრავალსართულიან სინებზე ნაირგვარი ნამცხვარი, ტრიუფელი, სხვადასხვა ფორმის ხალვა, ზეფირი, მარმელადი და რახათ-ლუქუმი აწყვია. ტკბილეული, როგორც სულდგმულები, ნინის გასაგონად ჩურჩულებენ: "მე გამსინჯე!.. მე გამსინჯე!.. მე!.."  
დათვი ჟელეს თათებით დახლიდან თეფშს იღებს, ნამცხვრის ასაღებით თეფშზე ტრიუფელს დებს, ნინის სადეგუსტაციოდ უწვდის.

### **ჟელეს დათვი**

ეს სიახლეა.

ნინი ტკბილეულს ნამდვილი არისტოკრატივით სინჯავს, აგემოვნებს, დათვს ჟელეს თვალებში უყურებს. მოწონების ნიშნად, თავს ისევ ოდნავ გვერდზე ხრის.

### **ჟელეს დათვი**

იცით რატომ არის ასეთი ჰაეროვანი? იმიტომ, რომ ამ

ტრიუფელს სულ ცოტა ნალები უკეთდება,

რაც საერთოდ არაა მიღებული.

ნინის თავბრუ ესხმის. თვალები უფართოვდება. ფეხზე ძლივს დგას, იძულებულია, ხელით დახლს ჩამოეყრდნოს. სუნთქვა სულ უფრო უძნელდება. უცბად ლოყები უწითლდება, შუბლზე ცივი ოფლი ასხამს, ხშირად სუნთქავს. მკერდი ხმაურით ასდი-ჩასდის.

### **ნინი**

ჰაერი... ჰაერი...

## ქელეს ღათვი

სულ დამაინყდა ამ ტროუფელში ნალებზე მეტი შხამია.

## ზაფირი

გეუბნებოდი, მე გამსინჯე-მეთქი?

## შოკოლადის გურთულა

ხომ ვეუბნებოდი?

## რახათი-ლუჭუმი

ეგრე მოუხდება!

## ქელეს ღათვი

(ტკბილეულს)

ცს!

ქელეს დათვს სახის ნაკვეთები ეცვლება. თვალეზი ავად უელავს, გუგები ჯერ უშავდება, მერე კატასავით უეინროვდება. ყურებიც ოდნავ უწვრილდება და უგრძელდება. დათვი ბოროტად ილიმის – წვრილი ეშვები უწნდება. ნინი ნაპირზე ამოგდებული თევზივით უმწეოდ ალებს პირს. რალაცის თქმა უნდა, მაგრამ ენას ვერ აბრუნებს.

## ქელეს ღათვი

(რადიო დიქტორივით)

თქვენი სისხლი მონამლულია. მალე ფილტვები შეგეკუმშებათ,

ველარ ისუნთქებთ, ორგანიზმში წნევა დაეცემა და

გულიც ნელ-ნელა შეწყვეტს ფეთქებას...

ტურებიც უკვე გილურჯდებათ.

ნინი თავს ველარ იმაგრებს, ზურგით დახლს ეყუდება, ცურდება და იატაკზე თოჯინა-სავით ჯდება. დათვი მის გვერდით იკუზება. თვალშიც უკვე უორდება.

## ქელეს ღათვი

თუმცა... მოგეხსენებათ, ყველა შხამს თავისი

შხამსანიანალმდეგო აქვს. (ჯიბიდან რალაც აბს იღებს,

ნინის თვალთან მიაქვს) ინებებთ, ჩემო მშვენიერო ლედი?

ნინი ხელის განედენას ცდილობს, მაგრამ ძალა არ ყოფნის.

## ქელეს დათვი

ჩვენ შეგვიძლია მოვრიგდეთ. მე მაქვს ის, რაც თქვენ  
გჭირდებათ. თქვენ კი გაქვთ ის, რაც მე მჭირდება.

დათვი ნინის მაჯაზე დახვეულ ძეწკვზე გამობმულ გასაღებს უყურებს. ნინი გასაღებზე იკიდებს ხელს, უმწოდო ექაჩება. (თუმცა, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ნინი ისევ საცეკვაო მოედანზე დაძვრება ხალხში. დედოფალი თვალისდაუხამზამებლად უყურებს.)

### ინტ. სანამიგალი ოთახი (საცეკვაო მიწიდან)

ლუკა ისევ ლეას ეცეკვება (თან სანამებელ ოთახშიც დგას; გრძელცხვირა მამაკაცს უყურებს; ეს უკანასკნელი ისევ ევედრება; კისერზე დაკიდებული გასაღები ხელში ჩაუბლუჯავს. ლუკა თითქოს ტრანსშია; თვალები გათიშული აქვს; ისაა, გასაღები უნდა მოიძროს), რომ ლეა ყურში ჩასჩურჩულებს.

### ლეა

არ მისცე! ეგ ყველაფერი მხოლოდ შენს ტვინში ხდება.

ამის თქმაზე ლუკა თითქოს ბურანიდან ერკვევა. დედოფალი ისევ თვალეში უყურებს. გასაღებს ხელს უშვებს. თვალში საღი აზრი უბრუნდება. გრძელცხვირა მამაკაცს აკვირდება, რომელიც ხვდება, რაც მოხდა. გრძელცხვირა მამაკაცს ნანამები სახე აღარ აქვს, თვალეში ბოლმით ევსება, ლუკას სახეში გამომწვევად უყურებს, თან ეშმაკურად იცინის. წერილი ეშვები მოუჩანს.

სანამებელი ოთახი ქრება. ლუკა საცეკვაო მოედანზე დგას. ლუკა ხელს მაღლა წევს.

### ლუკა

არა!

ამის თქმაზე დედოფალს თვალეში ნათურებივით უნათდება, ფეხზე დგება.

### დედოფალი

(გამწარებით)

კმარა!

საცეკვაო მოედნიდან ყველა ქრება. ოთახში ჩვეულებრივი შუქი ინთება. ცარიელ მოედანზე მხოლოდ დედოფალი, ლუკა, სანდრო და ნინი დგანან. ბავშვები ერთმანეთს გაკვირვებულები უყურებენ.

## დედოფალი

### კამერაში!

ოთახში პოლიციელები შემოდინან ჩქარი და მიზანსწრაფული ნაბიჯით. ბავშვებს პატიმრებით ხელებს უგრეხენ, ოთახიდან გააყავთ.

### ინტ. დედოფლის ოთახი

ხალათში გამოწყობილი დედოფალი სარკიან მაგიდასთან ზის. სარკეში იხედება. მაგიდაზე უამრავი ფლაკონი, საპუდრე, ფუნჯი და კრემის ტუბი დევს. იქვე დევს დისტანციური მართვის პულტიც. გვერდით მაგიდაზე ხილით სავსე სინი და მწვანესითხიანი გამჭვირვალე ბოთლი დგას. პლაზმური ეკრანი ჩართულია. ეკრანზე ჩანს კამერა. კამერაში ბავშვები არიან დამწყვედი. ბავშვებს ტანზე პატიმრის ზოლიანი ტანსაცმელი აცვიათ. სანდრო და ნინი ერთ ლოგინზე სხედან. ლუკა კამერაში ბოლთას სცემს. დედოფალი ხელებზე კრემს ისვამს, მერე პულტს იღებს, ეკრანს უშვერს, *Fashion TV*-ზე რთავს. ეკრანზე კოსტიუმირებული მოდელები დადიან პოდიუმზე. დედოფალი ისევ საკანს რთავს. პულტს ხალათის მაგიდაზე დებს, მაღალფეხიან ქიქას იღებს, მწვანე სითხეს წრუპავს. ლუკა სანდროს და ნინის პირდაპირ მდგარ ლოგინზე ჯდება.

### ინტ. საკანი

ბავშვები ისევ საუბრობენ. მერე ლუკა ლოგინზე წეხს. შემთხვევით ბალიშის გვერდით კედელზე რაღაც წარწერას შეამჩნევს. აკვირდება. წერილი ასოებით კედელზე ფლომასტრით წერია: "თუ ამას კითხულობ, ესე იგი კამერაში ზიხარ და დახმარება გჭირდება. თუ გინდათ გააღწიოთ, მაშინ გააკეთეთ შემდეგი – წესი პირველი: არ შეიშინო, რომ ამას კითხულობ. კამერიდან გიყურებენ! (შეგიძლიათ ილაპარაკოთ, თქვენი ხმა არ ესმით). წესი მეორე: სულ მზადყოფნაში იყავით, როგორც კი შუქი ჩაქრება, კამერის კარი გასაღებით გააღეთ და დერეფანში მარცხნივ გაიქეცით. (გასაღები და ფარანი ბალიშშია.) წესი მესამე: რაც უნდა მოხდეს, უკან არ მიიხედოთ! დერეფანში პირდაპირ ირბინეთ. პირველივე ღია კარში შეხვალთ. თუ მშვიდობით მიადგნეთ ოთახამდე, დანარჩენი ინსტრუქციები იქ დაგხვდებათ. წესი მეოთხე: ეს წარწერა ნაკითხვისთანავე წაშალეთ!!! *პ.ა.* არ დაგავინყდეთ: დერეფანში მარცხნივ."

ლუკა მხართეძოზე წეხს, უჩუმრად ბალიშში ყოფს ყელს. ბალიშის წიბო გამორღვეულია. ლუკა გასაღებს და პატარა ფარანს აგნებს. ლუკა ამხანაგებს ისეთი სახით ელაპარაკება, ვითომ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება.

### სანდრო

(თავს ითვალისწინებს)

ზოლიან ბანანებს არ ვგავართ?

**ნინი**

ჰა-ჰა-ჰა, ესე იგი, მაგ სერიალს უყურებ?

**სანდრო**

არა, მე, ისა... რა ქვია იმას...

**ლუკა**

მომისმინეთ...

ბავშვები ყურადღებას არ აქცევენ. ნინი სიცილს აგრძელებს.

**ლუკა**

მთხოვთ, მომისმინეთ! ეცადეთ, არაფერი შეიმჩნიოთ.  
ვიცი, გაგიკვირდებათ, მაგრამ მე აქედან  
გასასვლელი გასაღები მაქვს.

**ნინი**

რასაკვირველია! კიდეც ერთი...

**ლუკა**

მთავარია, კამერას არ ახედო და არაფერი შეიმჩნიო.  
მე ახლა მეორე ლოგინზე გადავწვები. ცოტა ხანში  
შენ ჩემს ადგილას დანეჭი და ნახავ ბალიშთან რაც წერია.

ამის თქმაზე ლუკა ლოგინიდან დგება, მხრებს იჩეჩავს. კამერაში ბოლთის ცემას იწყებს. ცოტა ხანში მის ადგილას ნინი ჯდება. ისე იქცევიან, რომ კამერის მეორე მხარეს არაფერი იეჭვონ. ნინი ლოგინზე გადაწვება და წარწერას ჩუმად კითხულობს. ნინი მხარ-თეძოზე წვება.

**სანდრო**

რა წერია?

**ნინი**

ლუკა მართალია.

**ლუკა**

რა თქმა უნდა, მართალი ვარ.

**სანდრო**

რა ვიცით, ვინ დანერა?

**ლუკა**

მე ფლომასტერი არ მაქვს.

**სანდრო**

შენზე არ ვამბობ. რატომ უნდა ვენდოთ მაგ წარწერას?

**ლუკა**

ან რატომ არ უნდა ვენდოთ?

**სანდრო**

იქნებ გვცდიან... იქნებ უარესი დაგვემართოს...

**ნინი**

ამაზე უარესი?

**ლუკა**

უკეთესი გეგმა გაქვს?

სანდრო მხარს იჩეჩავს. ნინი ისევ გვერდულად წეება, საჩვენებელ თითს ერთ ისველებს, კედელზე წარწერას უჩუმრად შლის.

**ნინი**

გვინდა არა გვინდა, სხვა გზა არა გვაქვს...  
უნდა ვენდოთ წარწერას.

**ლუკა**

მზად უნდა ვიყოთ... შუქი შეიძლება  
ყოველ წუთს ჩაქრეს.

## **ინტ. ღერეფანი**

იმავე ციკლოპივით არსებას ხელები ზურგს უკან დაუწყევია, აქეთ-იქით დადის, მოკლე ნაბიჯებით დერეფანს ზომავს. კედლის კუთხიდან წვრილი მილი ჩნდება. მილიდან ბუმბულიან ნემსს ისვრიან. ნემსი მსუქან არსებას კისერში ერჭობა. არსება მოცელილივით იკეცება. დერეფანში შავმოსასხამიანი შემოდის, კამერის ქვეშ დგება, მილის გარდა

ხელში რალაც ნაჭრებიც უჭირავს. (ეტყობა ჩქარობს). შავმოსასხამიანი ადგილზევე ხტება, ნაჭერს კამერას აფარებს. არსებასთან მირობის, კისრიდან ბუმბულიან ნემსს აძრობს, უკანვე გარბის.

## **ინტ. ღერეფანი**

შავმოსასხამიანი სხვა ღერეფანში შედის. ხელში ისეთივე ნაჭერი უჭირავს. ისევ ადგილზევე ხტება, ნაჭერს კამერას აფარებს. შემდეგ ღერეფანს გაიბუნებს, რალაც კარს ალებს, შედის ოთახში, სადაც დაფებზე უამრავი წითელი და მწვანე ლილაკი ციმციმებს. ისმის ყრუ ზუილიც. ოთახში კამერა არაა დამონტაჟებული. შავმოსასხამიანი კაპიუშონს იხდის. როგორც ირკვევა, პრინცესა ლეა ყოფილა. ლეა დაფაზე ჩამწკრივებულ ჩამრთველებს ატრიალებს.

## **ექსტ. სასახლის ეზო**

ჩანს, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ქრება ოთახებში შუქი.

## **ინტ. საკანი**

ბავშვები საკანში ისევ საუბრობენ. უცბად შუქი ქრება. ცოტა ხანს არაფერი ჩანს. მხოლოდ რალაც ფაჩუნს და ბავშვების ხმები ისმის. "დროზე! გამატარე! მალე! რას შერებით ამდენ ხანს?! ახლავე! ფარანი შენ აილე!" და ა.შ. უცბად ფარანი ირთვება. სამი სილუეტი საკნის კართან მიდის. ლუკა გასალებით კარს ალებს. სილუეტები დერეფანში გარბიან. ფარნის შუქზე ჩანს, როგორ გდია იატაკზე უნიფორმაში გამოწყობილი არსება.

## **ინტ. რალაც სახლის წინკარი**


წინკარში ორი ახალგაზრდა ჯანიანი კაცი (ტყუპები) და დედაბერი ქალი დგას. საკიდზე ბენვის ქურქები კიდია. კედელზე თხილამურებია მიყუდებული. ახალგაზრდები მზადებაში არიან. დედაბერი ჯადოქარს გაეს, ხელში ორი მშვილდი და ისრით სავსე ბუდეები უჭირავს. ახალგაზრდები გაჭრილი ვამლივით გვანან ერთმანეთს. გრძელი ხორბლისფერი თმა და რამდენიმე დღის წვერი აქვთ. ერთნაირად თბილად აცვიათ. ფეხებს ბენვის ჩექმებში უყრიან. ტანზე ბენვის ქურქებს, ხელებზე ნაქსოვ თათმანებს იცვამენ.

## **დედაბერი**

*(ახალგაზრდებს მშვილდებს უწვდის)*

არ დაგავინწყდეთ, ძველი საგუშაგოდან გამოვლენ.







**პირველი ახალგაზრდა**

არ დაგვაგინდება.

**დედაბერი**

იცოდეთ, არ ააცილოთ!

**მეორე ახალგაზრდა**

კარგი რა, დედილო...

**პირველი ახალგაზრდა**

*(მხარზე მშვილდს იკიდებს)*

პირდაპირ შუბლში დავუმიზნებ, დედას გეფიცები!

### **ინტ. ღერეფანი. ოთახი**

ბავშვები ბნელ დერეფანში მირბიან. გზას ფარნით ინათებენ. გზად ხვდებათ შეღებული კარი. შერბიან ოთახში, კარს ხურავენ.

ოთახს ფარნით ანათებენ. იქ კიდევ ერთი კარია. კარზე პატარა ფურცელია პლასტიკით მიკრული. ბავშვები კარს ანათებენ, სადაც ფლომასტრით წერია: "ამ კარში შეხვალთ. ივლით სულ პირდაპირ. დერეფნის ბოლოს ლიფტი დაგხვდებათ. ლიფტით ბოლო სართულზე ახვალთ. იქ ერთადერთი კარი იქნება. გარეთ ეციება. საჭირო ნივთები ზევით დაგხვდებათ. *პ.ა.* ეს ფურცელი არ დატოვოთ!" ნაკითხვისთანავე ლუკა ფურცელს ჯიბეში იტენის.

### **ინტ. სასახლე**

შუქის ჩაქრობისთანავე სასახლეში ფორიაქი ტყდება. ფარნით შეიარაღებული ხალხი აქეთ-იქით დარბის. ვილაკებებს ხელში შანდლები უჭირავთ. ზოგი ცალი სათლით გამოდის ოთახიდან. რამდენიმე პოლიციელი დერეფანში მიზანმიმართულად მიიწევენ ჩქარი ნაბიჯით. წინ ჩვენი ნაცნობი მოხუცი მიუძღვის, ხელჯოხით ხელში. შედიან იმ ოთახში, სადაც ცოტა ხნის წინ პრინცესა ლეა იყო. ოთახი ცარიელია.

**მოსუცი**

აქ მონათე!

ერთ-ერთი პოლიციელი ბრძანებას ასრულებს. მოხუცი ჩამრთველებს ატრიალებს. ირთება სირენა.

ჩაბნელებულ სასახლეში ოთახები ისევ თანმიმდევრულად ნათდება.

**ინტ. ღერეშანი**

ციკლოპივით არსება გონს მოდის. ცალ თვალს შეშინებული აფახულებს. სირენა ისმის. ხენეშა-ხენეშით ფეხზე დგება. იქვე დავარდნილ სათვალეს იღებს, ცხვირზე ირგებს. ხელს ჯერ ნანემსარზე, შემდეგ მელოტ თავზე ისვამს. ხედება, თავზე კოპი აზის. მაგიდასთან მირბის, უცბად უნიფორმის ქუდს იხურავს. უნდა კოპი ქუდის ქვეშ დამალოს. მერე აქეთ-იქით იყურება. შემთხვევით კამერაზე წამოცმულ ნაჭერს შეამჩნევს. ახლა კამერისკენ გარბის, მაგრამ ვერ ასწრებს. დერეფანში მოხუცი და პოლიციელები შემოდიან. ციკლოპივით არსება მოხუცს სამხედრო სალამს აძლევს.

**ციკლოპი**

შეფ, მე... თქვენ... მე...

მოხუცი არსებას თვალთ ზომავს, მერე ხელს წევს, არსებას ანიშნებს, გაჩუმდეს. არსებას ცალი თვალი უნებურად ნაჭერჩამოფარებული კამერისკენ გაურბის. მოხუციც კამერას ახედავს. შემდეგ თავისი ხელჯოხით ნაჭერს ხსნის. უცბად მოხუცი ქამრიდან რაციას იხსნის.

**მოხუცი**

(რაციით)

ძაღვები გამოუშვით! დროზე!

**ქსტ. თოვლიანი მთა**

ბენჯის ქურქში გახვეული ახალგაზრდა კაცები მთაზე ადიან. მხარზე მშვილდ-ისარი გადაუკიდიათ. ხელში თხილამურები და ჯოხები უჭირავთ. ერთი ახალგაზრდა თოვზე გამობმულ დიდ ციგას მიათრევს. უბერავს ქარი.

**ინტ. ღერეშანი**

ბავშვები გრძელ ქვით მოპირკეთებულ უკაცრიელ გვირაბში მირბიან. ისმის შორეული ექო.

## **ექსტ. სასახლის ეზო**

პოლიციელებს გალიებიდან დობერმანები გამოყავთ. ძაღლებთან ერთად სასახლეში შერბიან.

## **ინტ. დერეფნები**

პოლიციელები დერეფნებში მირბიან. ძაღლები ცარიელ კამერაში შეყავთ. ცხოველები ლოგინებს ყნოსავენ, სუნს იღებენ. შემდეგ დერეფანში გამორბიან. შეიარაღებული პოლიციელების გუნდი უკან მიყვება.

## **ინტ. გვირაბი**

ბავშვები გვირაბის ბოლოში გადიან. ღილაკს აჭერენ. ლიფტის კარი ღრჭიალით იღება. კაბინაში ისეთი მტვერია, ეტყობა, დიდი ხანია, არ უსარგებლიათ.

## **ინტ. კაბინა**

კაბინა ძაგძაგით ზევით ადის. კაბინაში რალაც ფიცარი გდია. იქვე, კაბინის კედელზე ფურცელია მიკრული, სადაც წერია: "რომ ახვალთ, ფიცარი კაბინის კარში გაჭედეთ. *პ.ს.* ეს ფურცელი არ დატოვოთ!!!" ნაკითხვისთანავე ლუკა ფურცელს აძრობს, ჯიბეში იტენის.

### **სანდრო**

როგორც ჩანს, ვილაცას ჩვენი ბედი ადარდებს.

### **ლუკა**

ან ძალიან უნდა, დედოფალს აწყენინოს.

### **ნინი**

*(მენტორული ტონით)*

ჩვენი მტრის მტერი, ჩვენი მეგობარია.

## ინტ. გვირაბი. კიზა

გვირაბში ძაღლები და შეიარაღებული პოლიციელები მირბიან. მიიღებენ ლიფტთან. რამდენჯერმე ისტერიულად აჭერენ ლილაკს, მაგრამ უშედეგოდ. ძაღლები ყეფენ. ისმის ბრძანება: "კიბით!" პოლიციელები და ძაღლები ლიფტის შახტის გვერდით ამავალ კიბეზე არბიან.

## ინტ. კაზინა. პაქანი

ლიფტი მალე ჩერდება. კარი ღრჭიალით იღება. ბავშვები ბაქანზე სწრაფად გადიან. ლიფტის კარში ლუკა ფიცარს ჭედავს. აქაც ყველგან მტვერია. ლიფტის გარდა, ბაქანზე კიდევ ერთი კარია. კართან რალაც ყუთები აწყვია, ყუთებზე – რამდენიმე ხელი ნახმარი (*second hand*) ტანსაცმელი, ჩექმები, ნაქსოვი ქუდეები, ხელთათმანები და სამი ქურქი. ტანსაცმელზე ფურცელი დევს, სადაც წერია: "პოლიციელები უკვე კიბეზე არიან. მალე ჩაიცვით და მთას პირდაპირ დაუყევით. *p.s.* ფურცელი!!!"

ლუკა კარს აღებს. გარედან ცივი ქარი და ნამქერი შემოვარდება. ლუკა კარს სწრაფად ხურავს. ის და ნინი ჩაცმას იწყებენ. სანდრო ორი თითით იღებს რალაც შარვალს და ზიზლით უყურებს. ნინი ჩექმაში უყრის ფეხს, რომ სანდროს ყოყმანს შეამჩნევს.

## ნინი

ვწუხვართ... იამამოტოს კოსტიუმები გაგვითავდა.

სადღაც შორიდან ძაღლების ყეფა ისმის. შეშინებული სანდრო ფაცაფუცით იცვამს შარვალს.

## ინტ. კიზა

ძაღლები და პოლიციელები კიბეზე არბიან.

## მესტ. თოვლიანი მთა

ტყუპები თოვლიან მთაზე ადიან. მოშორებით ჩანს საგუშაგო კომპი. ქარი სულ უფრო მძვინვარედ უბერავს.







## ექსტ. საგუშაგოს მიმდებარედ

თბილად შეფუთილი ბავშვები კოშკიდან გამოდიან. კარს ხურავენ. თავდაღმართში ეშვებიან. ძლიერი ქარი უბერავს. ძაღლები პოლიციელებს ასწრებენ. დახურულ კარს ეჯახებიან, უყეფენ. რამდენიმე დობერმანი კარის სახელურს კბილებით ეჭიდება. ბავშვებს მოლიპულზე სიარული უჭირთ. აქა-იქ თოვლიდან კლდოვანი გორაკებია ამოშვერილი. ერთ-ერთი გორაკის უკნიდან ახალგაზრდა ჩუმად გამოდის, ბავშვებს უყურებს, ზურგზე გადაკიდებული ბუდიდან ისარს იღებს, მშვილდს ზიდავს, თვალმოჭუტული უმიზნებს. სხვა გორაკის უკნიდან მისი ტყუპი ძმა გამოდის, ისიც თვალმოჭუტული უმიზნებს. ძმები თითქმის ერთდროულად ისვრიან. ისრები ბავშვებს სახეებთან ჩაუზუზუნებს. ბავშვების უკან დაისრული დობერმანები ვარდებიან. დამფრთხალი ბავშვები სირბილზე გადადიან. უკან ძაღლები მისდევენ ღრენა-ღრენით. ბავშვები გზად ეცემიან, მაგრამ არ ჩერდებიან. ტყუპები რამდენჯერმე ზედიზედ ისვრიან. დაისრული ძაღლები თოვლზე ეცემიან. რომლებიც ისარს გადაურჩნენ, ნკმუტუნით უკანვე გარბიან. ღია კარში უკვე პოლიციელები ჩნდებიან. პოლიციელები აქეთ-იქით იფანტებიან, ისინიც სროლას იწყებენ. ისმის ბათქა-ბუთქის ხმა.

### პირველი ახალგაზრდა

(ბავშვებს)

პირდაპირ ჩადით... ჩვენ პოლიციელებს გავაჩერებთ.

ძმები მშვილდებს ზიდავენ. სხვადასხვა მხრიდან წამოსული ტყეციები გორაკში და თოვლში შედის. ძმები ქიშებს უკან იმალებიან. ძაღლები ნკმუტუნებენ და იღრინებიან.

### მეორე ახალგაზრდა

მაღე მოუსვით! წინ ციგას დაინახავთ. (ისარს ისვრის, ერთ-ერთ

პოლიციელს მხარში ახვედრებს, პოლიციელი ვარდება)

უკან არ მოიხედოთ!

ბავშვები დაღმართში მირბიან. მაღე ციგას დაინახავენ.

გორაკს ამოფარებული ერთ-ერთი ახალგაზრდა ბუდიდან ისარს იღებს. ისრის თავი პატარა ბომბია. ახალგაზრდა მშვილდს ზიდავს, საგუშაგოს უმიზნებს, ისვრის. საგუშაგო კოშკი ფეთქდება. ძაღლები და პოლიციელები აქეთ-იქით ცვივან.

## ექსტ. თოვლიანი მთა

ბავშვები ციგაზე სხდებიან; ფერდობზე სრიალით ეშვებიან. მათ უკან გადარჩენილი და თხილამურებზე შემდგარი პოლიციელები მოსდევენ სრიალით. ახალგაზრდები მოსრიალებენ, თან პოლიციელებს ისრებს უშენენ. დაისრულები თოვლში ცვივან. პოლიციელები ბევრნი არიან – ახალგაზრდები ყველას ვერ მოერევიან. რამდენიმე პოლიციელი სქელლულიან თოფს ესვრის ბავშვებს, საიდანაც ბადე ვარდება, მაგრამ ბავშვებს ვერ ახვედრებენ. სხვა პოლიციელები ახალგაზრდებს ესვრიან ბადეებს. ახალგაზრდები ოს-

ტატურად იცილებენ, მკვეთრად გვერდზე უხვევენ, თან ისრებს უშენენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ეხვევიან ბადეში. ბადეში გახვეულებს პოლიციელები დააცხრებიან თავს.

ამასობაში ბავშვები თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებიან დაღმართში. უცბად რალაც ბორცვზე, როგორც ტრამპლინზე, მკვეთრად ასრიალდებიან და ჰაერში მიფრინავენ. ბავშვები ცალ-ცალკე, ციგა – ცალკე.

## **ინტ. ტბა**

ბავშვები დიდ ტბაში ცვივან. ტანსაცმელი უცბად წყლით ეუფლინთებათ, გახდას ვერ ასწრებენ, იძირებიან. თან წყლიდან ამოსვლას ლამობენ, თან ჰაერი აღარ ყოფნით. ისაა, უკვე უნდა დაიხრჩონ, რომ მათთან სირინოზები მიცურდებიან. პირზე აკვალან-გისტის სასუნთქებს გაუკეთებენ, მხრებში ხელს ჩასჭიდებენ და წყალში ცურვა-ცურვით სადღაც წაიყვანენ.

## **აქსტ. თოვლიანი მთა**

პოლიციელები ფერდობზე დგანან, ტბას იმ ადგილას უყურებენ, სადაც ბავშვები ჩაცვივდნენ.

## **ინტ. ტბა. ბატისკაფი**

სირინოზებს დიდხანს მიჰყავთ ბავშვები. წყალქვეშა სამყაროში დაატარებენ, რომელიც სავსეა ეგზოტიკური თევზებით, წყლის ვარსკვლავებით, მედუზებით, რვაფეხებით, ზღვის ცხენებით და ა.შ.

სირინოზებს ბავშვები ტბის ფსკერთან ახლოს მდგარ ბატისკაფში შეჰყავთ. ბატისკაფი განათებულია, დაფებზე რალაც ლილაკები ციმციმებს. ბავშვები სკაფანდრებს იხსნიან. სკამებზე სხდებიან.

### **პირველი სირინოზი**

ცოტა ხანს აქ მოგინეთ ყოფნა... ტანსაცმელი გამოიცვალეთ,  
საშრობი იქაა (რკინის კარადაზე უთითებს). ხალათები  
(სხვაგან უთითებს) იქ კილია.

### **მეორე სირინოზი**

(პალტოებზე ანიშნებს)  
ეგ მომეცით... აღარ დაგჭირდებათ.

## მასაჟი სირინოზი

იმედია, არ მოიწყენთ... ჩვენ პოლიციელებს მივხედავთ.

სირინოზები ყვინთავენ, კუდის ქნევით მიცურავენ, წყალში მალე უჩინარდებიან. ცოტა ხანში პალტოები ზევით ააქვთ, ერთმანეთის შორიხალოს წყლის ზედაპირზე ტოვებენ.

### ინტ. ბატისკაჟი

ბავშვები სველ ტანსაცმელს იხდიან. თან კარადიდან ხალათებს იღებენ. ბატისკაჟში ყველა საცხოვრებელი პირობაა: კარადებზე კონსერვები, ქილები, პაკეტები და სხვა ათასი წვრილმანია ჩამწყრივებული.

### ნინი

*(ბატისკაჟის თვალს მოავლებს)*

რამე იყოს, აქ მთელ თვეს გაატარებს ადამიანი.

### ლუკა

გმადლობთ, მაგრამ მე თავს შევიკავებ... თუ ნებას დამრთავთ.

ბავშვები ტანსაცმელს საშრობში კიდებენ. საშრობის კართან ღილაკია, რომელსაც თავზე რკალად ანერია: "გაშრობა". ლუკა საშრობის კარს ხურავს, ღილაკს თითს აჭერს. საშრობი კაბინა ზუზუნს იწყებს. ილუმინატორში მელღუზები და ზღვის ცხენები ჩანან. ბავშვები მალე შინაურდებიან. ნინი კონსერვებს, ქილებს და პაკეტებს ათვალიერებს. ხელში ელექტროჩაიდანს იღებს.

### ნინი

ჩაის ხომ არ მიირთმევთ, ბატონებო?

### ლუკა

რატომაც არა.

ბატისკაჟის ილუმინატორთან თევზები მოცურდებიან, ბატისკაჟში იყურებიან, ბავშვებს ყურადღებით აკვირდებიან. ნინი ამას შეამჩნევს და გაეცინება.

### ნინი

ახლა პირიქით ხდება... თევზები ჩვენ გვაკვირდებიან.

### სანდრო

ამისთვის ვინვალეთ?

## ნინი

თქვენი არ ვიცი, ჩემთვის კი ყოველთვის ოცნება იყო  
თევზების გარემოცვაში ჩაის სმა.

## სანდრო

ამას არ ვგულისხმობ... ისევ პატიმრობაში აღმოვჩნდით.  
ან პალტოები რატომ წაიღეს?

## ნინი

პალტოები! საკითხავი აი ეს არის!

## ინტ. დედოფლის ოთახი

გამწარებული დედოფალი ოთახში ბოლთას სცემს. პლაზმურ ეკრანზე ჩანს სასახლის  
მონაკვეთები, სადაც პოლიციელები და ძალები დარბიან. სასახლეში დიდი ფორიაქია.  
ოთახში მოხუცი და რამდენიმე თავჩახრილი პოლიციელი დგას.

## დედოფალი

ბრწყვებო! ორ ბატს ვერ განდობთ კაცი!

## მოსუცი

თქვენო უდიდებულესობაე...

## დედოფალი

კმარა! არის რამე ახალი?

## მოსუცი

ვილაც სასახლიდან დაეხმარათ გაქცევაში...

## დედოფალი

(დამცინავად უყურებს)

ჰმ! ჩემზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

## მოსუცი

თქვენო უდიდებულესობაე...

## დედოფალი

საკმარისია! სად წავიდოდნენ? უკვალოდ ხომ არ გაქრებოდნენ?!





## მოსუცი

ვფიქრობთ, სირინოზებთან იქნებიან...

## დედოფალი

მერე, ხომ არ გგონიათ, რომ სირინოზებს ჩემს  
ვანაში ვმალავე? რაღას უცდით!

## ინტ. ტაიმექსის სახლი

კარზე პოლიციელები რეკავენ ზარს. კარს ტაიმექსი აღებს, ოდნავ გაკვირვებულია  
მსგავსი ვიზიტით.

## ტაიმექსი

ღიას?

## პოლკოვნიკი

მუსიე ტაიმექსი დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენი  
სახლი უნდა გავჩხრიკოთ.

## ტაიმექსი

ჩემი სახლი? გაჩხრიკოთ? რატომ?

## პოლკოვნიკი

დედოფლის ბრძანებაა.

## ტაიმექსი

ბრძანება? რაღაც გაუგებრობაა... ახლავე დედოფალს დავურეკავ.

## პოლკოვნიკი

(ტაიმექსის ცხვირთან რაღაც ფურცელი მიაქვს)  
ვერ დაურეკავთ. აი ჩხრიკის ორდერი. გაგვატარეთ!

დაბნეული ტაიმექსი ადგილს ინაცვლებს, პოლიციელებს ატარებს. ისინი სახლში შეს-  
ვლისთანავე იწყებენ ჩხრეკას, ყველაფერს ძირს ყრიან, წიგნებს სათითაოდ ფურცლა-  
ვენ, ამონებენ ყველა კუთხე-კუნჭულს. ტაიმექსი გაკვირვებული და ოდნავ შეშინებუ-  
ლი აკვირდება მათ ფუსფუსს. პოლკოვნიკი სამზარეულოს კარს აღებს, შემდეგ საძინე-  
ბლის კარს. სულ ბოლოს აღებს რაღაც ცარიელ ოთახში შემავალ კარს. ოთახი მთლიან-  
ნად ნათალი ქვითაა განწყობილი. ოთახი სრულიად ცარიელია. პოლკოვნიკი ტაიმექსს  
უტრიალდება.

## **ინტ. დედოფლის ოთახი**

დედოფალი ფანჯარასთან დგას, ტელეფონით ლაპარაკობს.

### **დედოფალი**

პოლიციელები? (პაუზა) სათვალე წაიღეს? (პაუზა)  
ჩემი ბრძანებით? (პაუზა) ბრიყვო!

დედოფალი ყურმილს გამწარებული აგდებს.

## **ინტ. ტბა**

ტბის ფსკერიდან წყლის ზედაპირი ჩანს. სირინოზების გუნდი ზევით იყურება. ასევე წყლის ცხენები და თევზებიც ზევით იყურებიან. წყალზე კატერები ტივტივებს.

## **აქსტ. ტბის ზედაპირი**

პოლიციელები კატერებში სხდებიან, მოტორებს ქოქავენ.

### **კაპიტანი**

*(ყველა ეკიპაჟს აქეთ-იქით უთითებს)*

თქვენ იქით, თქვენ იქით, თქვენ იქით, თქვენ აქ.

კატერებზე პროჟექტორებს რთავენ. პოლიციელები წყლის ზედაპირს აქეთ-იქით ანათებენ. კაპიტანი ბინოკლში იყურება. კატერები ყველა მიმართულებით დაცურავენ, პოლიციელები წყალს ყურადღებით აკვირდებიან. რამდენიმე პოლიციელს შავი საცურაო კოსტიუმი აცვია, ზურგზე ჟანგბადის ბალონი უკეთია, ცხვირზე წყლის სათვალე. კატერები სვლას ანელებენ, ჩერდებიან. პროჟექტორები წყალზე მოტივტივე პალტოებს ანათებენ. კატერები წელი სელით პალტოებთან მიცურავენ. პოლიციელებს პალტოები კავებით ააქეთ კატერზე. სირინოზები ერთმანეთს თვალს უკრავენ, ჩანს, რალაცაზე წინასწარ არიან შეთანხმებულნი. სირინოზები ლოყებს ბერავენ, პირიდან ჰაერს უშვებენ. ჰაერის ბუშტები ზევით მიდის. მალე წყლის ზედაპირზე ბუშტულები ჩნდება. ბუშტულებს პოლიციელები ამჩნევენ.

### **კაპიტანი**

**შეამონმეთ!**

საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი პოლიციელები უმალ კატერის მოაჯირებზე სხდებიან, ფეხზე ლასტებს იცვამენ, წყალში ზურგით ეშვებიან. წყლის ისრიანი თოფებით არიან შეიარაღებულნი.







## ინტ. ტბა

წყალში ჩამხტარი პოლიციელები სირინოზებს მალე შეამჩნევენ. სირინოზების გუნდი სადღაც ტბის შუაგულსკენ მიცურავს. პოლიციელები ლასტებს უსვამენ, ედევნებიან. სირინოზები ისე მიცურავენ, თითქოს გაქცევა უნდათ, მაგრამ ვერ ახერხებენ – ბატისკაფის საპირისპირო მხარეს იტყუებენ. რაღაც მომენტში პოლიციელები თითქოს სასროლ მანძილზე უახლოვდებიან, ესვრიან კიდეც, მაგრამ სულ ბოლოს სირინოზები მაინც იცილებენ ისრებს.

მალე სირინოზები პოლიციელებს წყლის ველისკენ გაიტყუებენ. პოლიციელები თოფებს ტენიან. ისაა, სირინოზებს ისრები უნდა დაუშინონ, რომ ფეხებსა და ხელებზე წყალმცენარეები ეხვევათ. პოლიციელები იბრძვიან, თუმცა მცენარეებში ისევ იხლართებიან, როგორც ბუზები ობობის ქსელში. ორი პოლიციელი მაინც მოახერხებს თავის დაღწევას. ისაა, ველიდან მშვიდობიანად უნდა გააღწიონ, რომ უცბად უზარმაზარი რვაფეხა (რომელიც თავიდან ფსკერის შლამიან გორაკს გავდა) ჯერ ერთს ჩააგლებს ფეხში საცეცს, მერე მეორეს. ორივე პოლიციელი რვაფეხას უჭირავს თავისი საცეცებით.

## ინტ. პატისკაფი

ბავშვები სკამებზე სხედან, ჩაის მიირთმევენ, თან ილუმინატორს მოკრულ თევზებს აკვირდებიან. სანდრო რაღაც ჟურნალს ათვალთვლებს.

**ლუკა**

*(ილუმინატორს უყურებს)*

იცი, ეს რა თევზია?

**ნინი**

სამურაი.

**ლუკა**

მართლა?

**სანდრო**

*(ჟურნალიდან თავს არ წევს)*

ჰო, ნინძას ბიძაშვილი.

თევზს თითქოს ესმის მათი საუბარი – გაბრაზებული იფხორება, უკან დაიხევს, უცბად გამოექანება და ილუმინატორს თავით ეჯახება. შეშინებული სანდრო შეხტება. თევზი სანდროს ბრაზიანად უყურებს. ლუკას და ნინის ეცინებათ.

## **ინტ. ტბა**

გაკოჭილი პოლიციელები სირინოზების ერთ ნაწილს კატერებისკენ მიჰყავთ. მეორე ნაწილი ბატისკაფისკენ მიცურავს.

## **ექსტ. ტბის ზედაპირი**

ჩვილი ბავშვებივით გაკოჭილი და წყალზე მოტივტივე პოლიციელები უსტვენენ, თავის ამხანაგებს კატერებზე უხმობენ. მათკატერებიდან პროფექტორებით მალევე აღმოაჩენენ. გაკოჭილი პოლიციელები, როგორც დიდი თევზები, კავებით კატერებში აჰყავთ.

## **ინტ. ბატისკაფი**

ბავშვები ერთმანეთში საუბრობენ, თან ჩაის მიირთმევენ, რომ მათთან სირინოზები მიცურდებიან.

### **პირველი სირინოზი**

მივდივართ!

### **მეორე სირინოზი**

დიდხანს აქ ვერ გაგაჩერებთ. ახლა ნაპირზე  
გაგიყვანთ. მერე თქვენ იცით!

### **მეორე სირინოზი**

საცურაო კოსტიუმები აი იქ კიღია (კარადაზე ანიშნებს).  
თქვენი ტანსაცმელი უკვე გაშრებოდა. დროზე პარკებში ჩაანყვეთ!

ბავშვები ბრძანებას ასრულებენ. ლუკა და სანდრო იქვე იხდიან ხალათებს, საცურაო კოსტიუმებს იცვამენ. ნინი შირმის უკან იცვამს.

### **პირველი სირინოზი**

წავედით!

ბავშვები წყალში შედიან. თითოეულს ხელში პარკში გახვეული თავისი ტანსაცმელი უჭირავს. სირინოზები ორივე მხრიდან ხელს კიდებენ. სწრაფი ცურვით სადღაც მიჰყავთ. გვერდში თევზების გუნდი მიყვებათ. სამურაი სანდროს უბღვერს.

## მძსტ. ტვის ზელაპირი

კატერებზე ფორიაქია. პოლიციელები გაკოჭილ ამხანაგებს ათაეისუფლებენ. კაპიტანი გაბრაზებული უყურებს მათ, თან ღიმილს ვერ იკაეებს.

### კაპიტანი

ასე საყვარლად ვინ გაგკოჭათ, ბიჭებო?

### პირველი პოლიციელი

*(სამხედრო წესით სალამს აძლევს)*

სირინოზებმა, უფროსო კაპიტანო!

### კაპიტანი

რძეც ხომ არ დაგაღვეინეს?

ეკიპაჟს სიცილი უტყდება. გათაეისუფლებულ პოლიციელებსაც ეცინებათ. კაპიტანი ყველას მკაცრი მზერით უყურებს. ყველა უცბად ჩუმდება. კაპიტანი ისევ პირველ პოლიციელს უყურებს.

### პირველი პოლიციელი

არა, უფროსო კაპიტანო, რძე არ ყოფილა!

### კაპიტანი

რა დასანანია... თქვენ ახლა სწორედ რძეს უნდა მიირთმევდეთ და იძინებდეთ! თქვენ აქ დარჩებით *(კაპიტანი პირველი კატერის ეკიპაჟს მიმართავს)*. თქვენ იქით ნახვალთ *(მეორე ეკიპაჟს)*. თქვენ იქით *(მესამე ეკიპაჟს)*. ჩვენ იმ ნაპირს შევამოწმებთ *(ტბის მეორე მხარისკენ იშვერს ხელს)*. თქვენ ტბა დაათვალიერეთ *(მეხუთე ეკიპაჟს)*.

კატერები აქეთ-იქით მიცურავენ. პირველი კატერი ადგილზე რჩება. ყველა კატერი პროფექტორებით წყლის ზედაპირს ათვალიერებს. პირველ კატერში ხუთი პოლიციელი საცურაო კოსტიუმს იცვამს და წყალში ხტება.

## მძსტ. ნაპირი

სირინოზებს ბაეშვები ნაპირზე გაჰყავთ. სირინოზები წყალში ტივტივებენ.

**პირველი სირინოზი**

დროზე მოუსვით!

**ლუკა**

ახლა საით?

**პირველი სირინოზი**

აღბათ იქით, ჩიტების ფერმისკენ.

**მეორე სირინოზი**

იმ შენობას ხედავთ? ეგ დრაკონების ინკუბატორია.

ყველაზე ნაკლებად ამ მხარეს დაგიწყებენ ძებნას.

თან მანდ კამერები არაა.

სადღაც შორიდან კატერების ხმა ისმის. ჩანს, შორს როგორ დაცოცავს წყალზე პროფექტორის სხივები.

**სანდრო**

დრაკონების?

**მესამე სირინოზი**

ნუ გეშინიათ. თუ არ გააბრაზე, ეგენი ქათმეზივით არიან.

**პირველი სირინოზი**

დროა!

**მესამე სირინოზი**

წარმატებებს გისურვებთ!

**მეორე სირინოზი**

არ დაუჯეროთ ყველაფერს, რასაც ჩვენზე წერენ!

ამ დროს ნაპირთან ახლოს მისული სამურაი-თევზი ამოყოფს წყლიდან თავს, ლოყებს დაბერავს, სანდროს პირიდან წყლის წერილ ნაკადს შეასხამს და თვალეში გამომწვევად უყურებს. სირინოზებს ეცინებათ.

**სანდრო**

არაა სასაცილო.

## **პირველი სირინოზი**

(სამურაის)

აბა, მოუსვი აქედან!

თვეზი უცბად უჩინარდება. სირინოზები ხელს უქნევენ, წყალში ყვინთავენ. ბავშვებიც ხელს უქნევენ. ბავშვები ინკუბატორისკენ გარბიან.

## **იქსტ. ტბის ზედაპირი**

კატერები წყალზე დაცურავენ. კაპიტანი რაციას რთავს.

## **კაპიტანი**

შეფ, ბავშვები სირინოზებს ჰყავთ!

## **ინტ. დედოფლის ოთახი**

დედოფალი ტახტზე წევს, ტახტის სამკლავურებზე ფრჩხილებს ნერვიულად აკაკუნებს. პლაზმური ეკრანი ჩართულია. დედოფალი *Fashion TV*-ს უყურებს. კარზე კაკუნია. ოთახში მოხუცი შემოდის. დედოფალი უცბად ეკრანს პულტით თიშავს, ტახტზე ნახევრად წამოჯდება.

## **მონუსი**

თქვენო უდიდებულესობავ, ბავშვები  
სირინოზებთან არიან! მალე დაიჭერენ!

დედოფალი იმედგაცრუებული სახით ისევ ტახტზე წევა.

## **დედოფალი**

მალე? ჰოდა, რომ დაიჭერენ, მაშინ ჩამაყენეთ საქმის კურსში.

## **ინტ. ბატისკაში**

ხუთი პოლიციელი წყალში დაცურავს. სირინოზებს ეძებენ. ცოტა ხანში ბატისკაფს აგნებენ. პოლიციელები ბატისკაფში შედიან. წყლის ბინადრები ბატისკაფს სასწრაფოდ შორდებიან. პოლიციელები იქაურობას ათვალთვლებენ, თან ყველაფერს ძირს ყრიან. ერთ-ერთი პოლიციელი ნახევრად ცარიელ ჩაის ჭიქებზე უთითებს დანარჩენებს.

## პოლიციელი

გაგვასწრეს.

### ემსტ. ინკუბატორის შორიანსლოდ

ბავშვები ბუჩქნარს და ხეებს ეფარებიან. პარკებიდან ტანსაცმელს იღებენ, იცვლიან. საცურაო კოსტიუმებს ბუჩქნარში მაღავენ, ზედ ფოთლებსაც აყრიან. ინკუბატორისკენ მიიპარებიან, თან აქეთ-იქით იყურებიან.

ბავშვები ინკუბატორს უახლოვდებიან. უზარმაზარი ჩაბნელებული შენობაა, მხოლოდ ეზოა რამდენიმე ლამპიონით განათებული. ირგვლივ სულიერის ქაჭანება არაა. ეზო მავთულხლართითაა შემოღობილი. ბავშვები მავთულხლართის ქვეშ ჯარისკაცებივით ძვრებიან.

### ინტ. ბატისკაჟი. ტბა

პოლიციელები ბატისკაჟს ნაღმევენ. შემდეგ ბატისკაჟიდან გამოდიან, ზევით ადიან.

### ემსტ. ტბის ზედაპირი

პოლიციელები კატერში ძვრებიან. ერთ-ერთი პოლიციელი რაციით კაპიტანს უკავშირდება.

## პოლიციელი

უფროსო კაპიტანო, მიგნებულია ბატისკაჟი. ბავშვები იქ აღარ არიან... არის, უფროსო კაპიტანო!

კაპიტანი რაციას სხვა სიხშირეზე რთავს, დანარჩენ ეკოპაჟებს უკავშირდება.

## კაპიტანი

B-2, B-3 და C-5, გესმით ჩემი? კურსი ნაპირისკენი

პირველ კატერში პოლიციელი რაღაც ჩამრთველს ატრიალებს.

### ინტ. ტბა

წყლის ბინადრები ბატისკაჟს შორი მანძილიდან უყურებენ. ბატისკაჟი ფეთქდება.



## მასტ. ტბის ზედაპირი

აფეთქების შედეგად წყლის ზედაპირზე ჰაერის დიდი ნაკადი გეიზერით ამოვარდება. ტბაზე წყალი ლელავს. ნაპირებთან წყალზე კატერები ტორტმანებს.

## მასტ. ინკუბატორის ეზო

შორიდან ძლიერი აფეთქების ხმა ისმის. ბავშვები ნაშით ჩერდებიან. აქეთ-იქით იყურებიან. ცოტა ხანს არაფერს ჩანს. მერე ინკუბატორის ერთ-ერთი კარი ჭრიალით იღებება, საიდანაც უშნო შესახედაობის კაფანდარა მოხუცი გამოდის და გადმოკარკლული თვალებით გარემოს ეჭვით აკვირდება. ბავშვები რაღაც ყუთებს ეფარებიან. მოხუცი ერთხანს ზღურბლზე დგას, ჰაერს ძალღივით ყნოსავს, მერე უკანვე ბრუნდება, კარს ხურავს. ბავშვები სხვა კარისკენ მიიპარებიან, შენობაში ჩუმად შედიან.

## ინტ. ინკუბატორი

ინკუბატორი დიდ საქათმეს და საჯინიბოს ერთდროულად გავს. გრძელ რიგებში ჩამწკრივებული უშველებელ ბუდეებში ქათმებივით ჩამგდარი დრაკონები თვლემენ. ბავშვები რიგებს შორის ჩუმად დაძვრებიან. ისმის დრაკონების ხერინვა. რომელიღაც რიგის ბოლოში გადიან. უცბად ერთ-ერთი ბუდიდან რაღაც ფაჩუნის გაისმება. დიდი დრაკონის ფრთიდან პატარა დრაკონი გამოძვრება. ბავშვებს შეეშინდებათ. თუმცა დრაკონი ბავშვებს ძალღივით ერთგული თვალებით უყურებს, თან კუდს აქნევს. პირიდან სანთებელასავით პატარა ცეცხლს აფრქევს. მისი მშობელი უკმაყოფილოდ შეირხევა, თუმცა არ იღვიძებს.

## ნინი

*(ჩურჩულით)*

ამას უყურე!

პატარა დრაკონი ბუდიდან დრუნჩით რეზინის ბურთს აგდებს.

## ლუკა

თამაში გინდა?

ლუკა ბურთს ხელში იღებს. დრაკონი ცალ ყურს ძალღივით სწევს, კუდს ისევ აქნევს, თან ლუკას ხელებში უყურებს. ბავშვები ერთმანეთს უყურებენ, მხრებს იჩეჩავენ, არ იციან, რა ქნან. ამ დროს პატარა დრაკონი ბუდიდან ხტება, ისევ კუდს აქნევს, პირიდან პატარა ცეცხლს აფრქევს.

## ლუკა

რა ვქნათ?

ბავშვები დაბნეულები არიან. უცხად პატარა დრაკონი წკმუტუნს და ბრჭყალებით მინის ბლორტნას იწყებს. წკმუტუნზე პირველ რიგში მის მშობელს, შემდეგ დანარჩენ დრაკონებსაც ელვობათ. უცხად საშინელი გნიასი ტყდება. ყველა ბუდიდან დრაკონები იფხორებიან, ბავშვებს დიდი ანთებული თვალებით უყურებენ. პატარა დრაკონის მშობელი ბუდიდან მძიმედ გადმოდის, ბავშვებს უახლოვდება, ცხვირიდან თეთრ კვამლს აფრქვევს. ბავშვები უკუსვლით მიდიან. პატარა დრაკონი მათ წკმუტუნით და ხტუნვა-ხტუნვით მიყვება. ბავშვები ზურგით კედელს ებჯინებიან, წასასვლელი აღარ აქვთ. დიდი დრაკონი ავი თვალებით უახლოვდება.

**სანდრო**

**დაგვერსა!**

ამ დროს რალაც კარი იღება, საიდანაც დიდთვალება, კაფანდარა მოხუცი გამოდის.

**კაფანდარა მოხუცი**

**(დრაკონს)**

**აქშა! აქშა!**

დრაკონი ჩერდება, მოხუცს ოდნავ შეშინებული უყურებს. დანარჩენი დრაკონებიც უმალ ჩუმდებიან. მოხუცი ბავშვებს და დრაკონს შორის ღგება. თან ბავშვებს ეჭვით ათვალეირებს. ამჩნევს მათ გასაღებებს.

**კაფანდარა მოხუცი**

**აქშა! ადგილზე, დროზე!**

მოხუცი ლუკას ბურთს ართმევს ხელიდან. პატარა დრაკონი ისევ ხტის, კუდს აქნევს, ვერ ისვენებს, წკმუტუნებს. მოხუცი ბურთს მოისვრის. პატარა დრაკონი ბურთს მისდევს.

**კაფანდარა მოხუცი**

**ვის ვუთხარი, ადგილზე-მეთქი!**

დრაკონი თავისი ბუდისკენ მიბაჯბაჯებს, თან დროდადრო ბავშვებისკენ იყურება ცალი თვალით.

**კაფანდარა მოხუცი**

**(ბავშვებს)**

**თქვენ აქ საიდან მოხვდით?**

**ნინი**

**(კარისკენ ხელს იშვერს)**

**იქიდან.**

## კაზანდარა მოხუცი

სახუმაროდ არ მცალია! საიდან მოხვდით-მეთქი!

სანდრო

ისა...

## კაზანდარა მოხუცი

რა ისა?!

სანდრო

სირინოზებმა მოგვიყვანეს.

## კაზანდარა მოხუცი

სირინოზებმა? აბა, აქეთ მოდით. შენ კიდევ (დიდ დრაკონს  
უტრიალდება) ადგილზე! ახლავე!

ბავშვები იძულებული არიან, უკან მიყვნენ. სხვა გზა მინც არ აქვთ – იქით დრაკონები არიან. ამასობაში პატარა დრაკონი დაედევნებათ ბაჯბაჯით, პირში რეზინის ბურთი უდევს. ბურთს ლუკას ფეხთან დააგდებს და ისევ კუდს აქნევს, ნკმუტუნებს.

## ინტ. ოთახი

მოხუცს რალაც ოთახში შეჰყავს ბავშვები. ღარიბულად მონყობილი ოთახია. არც ფანჯარაა, არც სხვა გასასვლელი. ერთი მაგიდა, სკამი და სანოლი დგას. კედელზე სხვადასხვა ზღაპრების დრაკონების ნახატებია ჩარჩოში ჩასმული. მოხუცი შეამჩნევს, რომ ბავშვები ნახატებს უყურებენ. მოხუცი სკამზე ჯდება.

## კაზანდარა მოხუცი

მე აკი ვარ. თქვენ?

ბავშვები ეცნობიან.

აკი

ახლა როგორ მოვიქცეთ?

ბავშვები ხმას არ იღებენ.

აკი

მე გეტყვით, როგორ მოვიქცეთ. ვინც ხართ და აქ რატომაც ხართ, ეს გასაგებია. თქვენ დახმარება გჭირდებათ. ასეა?

## ნინი

დავუშვათ.

### აკი

დავუშვათ? მე თქვენ აქ არ მომიყვანიხართ. თქვენ თვითონ მოხვედით. ასე რომ, მე უნებურად აღმოვჩნდი გაუგებრობაში. (პაუზა) მე შემოძლია დაგეხმაროთ... მაგრამ ამისთვის ერთ-ერთი თქვენგანის გასაღები მჭირდება. გასაგებია?

ბავშვები ხმას არ იღებენ. უხერხული დუმილი ნება. ოთახში პატარა დრაკონი შემოდის ბაჯბაჯით. პირში ისევ ბურთი უდევს, რომელსაც ლუკას ფერხითთ აგდებს და კუდის ქნევას იწყებს.

### აკი

დროზე გადანყვითეთ! ან სამივეს პოლიციას ჩაგაბარებთ, ან ერთ-ერთმა თქვენგანმა გასაღები უნდა ჩამაბაროს.

ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდება.

### სანდრო

გასაგებია. მე მოგცემთ გასაღებს. (ლუკას და ნინის) ალბათ, ასე უფრო სწორია. მგონი, მეზღაპრეობა არაა ჩემი საქმე. თქვენ კი ახლა დახმარება გჭირდებათ.

### ლუკა

(სანდროს ჩურჩულით)  
იცი, რასაც აკეთებ?

### სანდრო

კი. ჩემი საქმე ალბათ ზღაპრების კითხვაა, ვიდრე წერა.

ლუკა და ნინი სანდროს ხელს ართმევენ, იღიმიან.

### სანდრო

იცოდეთ, თქვენგან ახალ ზღაპრებს ველოდები.  
(ბავშვები უხერხულობისგან იცინიან) სერიოზულად!

სანდრო აკის უტრიალდება, კისრიდან ძენკვს იხსნის, აკის უნდის. ისაა, აკიმ ძენკვი უნდა გამოართვას, რომ სანდრო ქრება, ძენკვს აკი ჰაერში იჭერს.





## აპი

ნუ გეშინიათ, არ ვიკბინები. მე ამ გასაღებს ვერაფერში გამოვიყენებ... იმათთვის მჭირდება... ადრე თუ გვიან პოლიცია დაადგენს, რომ თქვენ აქ იყავით. მერე როგორ გამოვძვრე? ვინ დამიჯერებს, რომ თქვენთვის ხელი არ შემიწყვია გაქცევაში? ასე კი ვიტყვი, რომ მე თქვენი დაჭერა მინდოდა, მაგრამ სხვადასხვა მხარეს გაიქცით და ამიტომ მხოლოდ ერთის დაჭერა მოვახერხე. გასაგებია?

## ლუკა

გასაგებია.

## აპი

რაკი აქამდე მოგიღწევიათ, ესე იგი, ვილაცებები დაგეხმარნენ. მაგათ არც ერთს ციხე არ აცდება. ალბათ უღირდათ. მე კი ვერ ჩავეჯდები ციხეში... უფლება არ მაქვს. ამათ ვინ მოუვლის? უჩემოდ დაიხოცებიან. არავის უნდა დრაკონებთან ცხოვრება. მე კი მიყვარს ესენი... (დრაკონების ნახატებს უყურებს) ყველა ჩემი გაზრდილია.

დრაკონების ნახატებს შორის ანჯელინა ჯოლის ნახატიც კიღია. ნინი ამას შეამჩნევს.

## ნინი

ეს რაღა შუაშია?

## აპი

რა შუაშია? ჰმ, ეგეც დრაკონია... აქ გაიზარდა. ათი წლის ნინ ერთმა მეზღაპრე პროდიუსერმა წაიყვანა.

ლუკა ბურთს ფეხის წვერს ურტყამს, ოთახიდან აგორებს, პატარა დრაკონი ფართხა-ფურთხით უკან მისდევს.

## აპი

ისე, რომ იცოდეთ, დრაკონებზე დიდი მოთხოვნაა. სტატისტიკით ყოველ მესამე მეზღაპრეს მჭირდება დრაკონი. ჰოდა, მოდიან და მიჰყავთ. ასე რომ, ჩვენ შეიძლება კიდევ შევხვდეთ.

## ლუკა

ვნახოთ.

აკი

ახლა კი უნდა ვიჩქაროთ... მოკლედ, ცოტა ხნით  
თქვენ კვერცხებად უნდა "გადაიქცეთ".

ლუკა

კვერცხებად?

აკი

ზუსტად! ცოტა ხანში კვერცხები უნდა წავუღო მიმელს.

ნინი

მიმელს?

აკი

მიმელი გოლიათია... გულიერის მოგზაურობა გახსოვთ?  
ჯონათან სვიფტმა თავის ნიგნში ყველა ლილიპუტი და გოლიათი  
აღწერა, მხოლოდ ერთი, მიმელი დაავიწყდა. სამწუხაროა, არა?  
ჰოდა, ზის ახლა მიმელი თავის სახლში, ყოველ დილით  
გოგლი-მოგლს მიირთმევს და ელოდება, როდის გამოჩნდება  
ახალი ავტორი და ნიგნის სამყაროში გადაიყვანს. (სკამიდან დგება)  
უნდა ვიჩქაროთ... წავედით.

აკი ოთახიდან გადის. ბავშვები უკან მიყვებიან. გადიან ინკუბატორში; ინკუბატორიდან  
უკანა ეზოში. იქ ცხენშებმული ურემი დგას. ურემზე დიდი კვერცხის ყუთი დევს. იქვე  
დგას უცნაური მანქანაც, დაახლოებით როგორც დოკებში ან დიდ საწყობებში რომ  
არის, პატარა ამნეს გავს. მოშორებით დიდი კვერცხის ნაჭუჭების გროვაა. აკი გროვას-  
თან მიდის. რამდენიმე ნაჭუჭს არჩევს.

აკი

(ნაჭუჭებს უწვდის)

მომეხმარეთ. შენ ეს წამოიღე, შენ – ეს.

ნაჭუჭები ურემთან მიაქვთ. აკი ჩერდება.

ნინი

სად წავიღოთ?

აკი

მანდ დადეთ.



აკი ურემზე დადებულ კვერცხის ყუთს ხსნის. ყუთში ათი დრაკონის კვერცხი დევს. მოხუცი მანქანას ქოქავს. ურემთან მიიყვანს, ამნეთი ყუთიდან ჯერ ერთ კვერცხს იღებს და ფრთხილად კედელთან დებს, შემდეგ მეორეს. აკი მანქანას თიშავს. ნაჭუჭებს ამოღებული კვერცხების ადგილას დებს.

**აკი**

აბა, პირველი ვინ იქნება?

ლუკა ურემთან მიდის. აკი აძრომაში ეხმარება. ამ დროს ინკუბატორიდან პატარა დრაკონი გამოდის ბაჯბაჯით, პირით ბურთი უჭირავს. ლუკა ნაჭუჭში ჯდება, ნინის, აკის და პატარა დრაკონს ემშვიდობება.

**აკი**

მოკლედ, მე თქვენ არ გიცნობთ, თქვენ მე არ გინახივართ. გასაგებია?

**ლუკა**

გასაგებია. მშვიდობით!

აკი მინაზე დაწყობილი ნაჭუჭებიდან ერთ-ერთს არჩევს, იმ ნაჭუჭს არგებს, რომელშიც ლუკა ზის. მეორე მცდელობაზე ნაჭუჭს მოარგებს. ალაგ-ალაგ ღრიჭობია დარჩენილი. აკის საღებავიანი ქილა და ფუნჯი მოაქვს. ღრიჭობს საღებავით ისე ავსებს, კვერცხი ხელუხლებელი გეგონება. მხოლოდ ერთ ადგილას ტოვებს პატარა შეუმჩნეველ ნახვრეტს. პატარა დრაკონი ურემთან მინაზე ჯდება, იმ კვერცხს უყურებს, სადაც ლუკა ზის და ნკმუტუნს იწყებს.

**აკი**

(*ღრიჭობი*)

ამას ჰაერისთვის დავტოვებ, რომ ისუნთქო.

(*პატარა დრაკონს*) მიდი დედაშენთან!

შემდეგ კვერცხში ნინი ჯდება და ა.შ.

აკი კოფოზე ძვრება, აღვირს ზიდავს, ცხენი ფრუტუნებს, ურემს ადგილიდან ძრავს.

**აკი**

(*პატარა დრაკონს*)

დედასთან მიდი-მეთქი!

პატარა დრაკონი მინაზე ზის, პირში ბურთი უდევს, თავი ძალღოვით გვერდზე გადაუგდია, ურემს გაკვირვებული თვალით აცილებს.

ორლოზებში ურემი ქრიალით მიიწნევა. მოშორებით ჩანან პოლიციელები.

**აკი**

*(მხარზემოდან)*

ჩუმად! გზაზე პოლიციაა.

ურემი პოლიციელებს უახლოვდება. პოლიციელები ურემს აჩერებენ. ორი პოლიციელი ურემს ათვალისწინებს. ერთი ურემის ქვეშ იხედება, მეორე ზევიდან ათვალისწინებს. ერთ-ერთი პოლიციელი შორიდანვე აკის ესალმება.

**კაპიტანი**

გამარჯობა, პან აკი!

**აკი**

გამარჯობა, კაპიტანო. რა ხდება?

**კაპიტანი**

ჩვეულებრივი შემონმებაა... დრაკონები როგორ არიან?

**აკი**

გმადლობთ, კარგად.

**კაპიტანი**

პან აკი, ისა... რამე უცნაური ხომ არ შეგინიშნავს?

**აკი**

როგორ არა! ცოტა ხნის წინ ვილაცეები შემოიპარნენ ინკუბატორის ეზოში. ალბათ, ნაჭუჭების მოპარვა უნდოდათ.

როგორც ყოველთვის. ხომ იცით, ნაჭუჭს ნაყავენ და "რაგატის" ტყვიებს აკეთებენ...

**კაპიტანი**

მერე?

## აკი

მერე ის, რომ გავეუკიდე, მაგრამ სამნი იყვენენ და სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. ერთ-ერთს დავედვენე. ის იყო, ქეჩოში ვნვდი, რომ აი ეს დააგდო (ჯიბიდან ძენკეზე გამობმულ გასალებს ილებს, კაპიტანს უნვდის), თვითონ კი გაუჩინარდა.

## აკი

ვიფიქრე, ყურებს დავაჭრი-მეთქი, მაგრამ...

კაპიტანი ძენკეს ართმევს, გასალებს ფარანს ანათებს. რამდენიმე ნაბიჯში გადის, რაციას რთავს. შორიდან ისმის მისი საუბარი.

## კაპიტანი

(რაციით)

შეფ, ერთი გასალები ამოლებულია დიახ... ინკუბატორში...  
ჯერ არ ვიცით... მედრაკონე აკიმ... დიახ... არის, შეფ!

პირველი და მეორე პოლიციელი კვერცხის ყუთს ხსნის. ყუთში კვერცხები აწყვია.

## პირველი პოლიციელი

(აკის)

მიმელთან მიგაქვს?

აკი კვერს უკრავს.

## მეორე პოლიციელი

ისეე გოგლი-მოგლის დიეტაზეა?

## აკი

როგორც ყოველთვის.

პოლიციელები ურმის თვალთვრებას თავს ანებებენ. კაპიტანი რაციაში ბრძანებას იძლევა.

## კაპიტანი

ყველანი ინკუბატორისკენ

ბრძანების მიღებისთანავე პოლიციელები ინკუბატორისკენ მიიზიან. მოლიმარი აკი აღვირს ზიდავს: "ნო!" ცხენი ურემს მიათრევს.

### **ექსტ. მიმელის სახლის მიმდებარედ**

შუკებსა და ორლობებში სიარულის შემდეგ ურემი მიმელის უზარმაზარ სახლს უახლოვდება, რომელიც მაღალი გალავნითაა შემოღობილი. აკი ურმიდან ხტება, მიდის კართან, რეკავს ზარს.

ცოტა ხანში იღება კარი, საიდანაც სუფთად ჩაცმული კოპნია გოლიათი გამოდის. თავზე პარიკი ადევს, ფეხზეც ბაფთიანი ფეხსაცმელი აცვია. სახე გააუფრული აქვს, ტუჩებზე პომადა უსვია.

**აკი**

ლამე მშვიდობისა, მიმელ! რომ იცოდე, რა კვერცხები მოგიტანე!

**მიმელი**

*(დაღლილი სახით)*

მე კიდევ გოგლი-მოგლის ახალი რეცეპტი გამოვიგონე!

**აკი**

კიდევ ერთი? ეს უკვე მერამდენაა?

**მიმელი**

სამიათასცხრაასმეორე.

**აკი**

ასე თუ გააგრძელე, მაღე რეცეპტების წიგნს გამოსცემ!

**მიმელი**

ან ქათამივით კაკანს დაფინყებ.

მიმელი თავისი გოლიათური ხელით ურმიდან კვერცხის ყუთს იღებს, რომელიც მის ხელში ჩვეულებრივი ზომის მოჩანს, აკის დამშვიდობების ნიშნად თავს უქნევს.

**აკი**

მიმელ!

## მიმელი

დიახ?

აკი ხელით ნიშანს აძლევს, დაიხარეო. მიმელი იკუზება. აკი ყურში ჩასწორრულებს.

## აკი

კვერცხებს გაუფრთხილდი! გასაგებია?

მიმელი აკის უყურებს, სიცილით წელში იმართება, კარში შედის.

## მიმელი

ყველა მამაკაცი უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ კვერცხებს...

## ინტ. მიმელის სახლი

მიმელი სახლში შედის, გაივლის ნინკარს, გადის სამზარეულოში. კვერცხის ყუთს სამზარეულოს მაგიდაზე დებს. მაგიდაზე ჭადრაკის დაფა დევს, ზედ ფიგურები აწყვია. როგორც ჩანს, მიმელი თავისთავს ეთამაშებოდა. ჭურჭლის საშრობიდან მიმელი იღებს ჭიქას და კოვზს. ჭიქას მაგიდაზე დებს. თან ჭადრაკის დაფას უყურებს, ეტყობა, გონებაში რალაცას ანგარიშობს, აკეთებს სვლას. შემდეგ ხსნის კვერცხის ყუთს, იღებს კვერცხს, კოვზით ამტვრევს, შიგთავსს ჭიქაში აგდებს. ნაჭუჭებს იქვე თეფშზე დებს. დაფაზე ისევ რალაც სვლას აკეთებს. შემდეგ მექანიკურად იღებს სხვა კვერცხს (*მთელი ყურადღება ჭადრაკისკენ აქვს*), კოვზით ამტვრევს, მაგრამ იქიდან ჭიქაში ცილის ნაცვლად ლუკა ვარდება. მიმელი დაბნეულია. ჭიქას იღებს, შიგნით იყურება. ლუკა ცილაზე ტივტივებს. ამ დროს ნინიც ამტვრევს კვერცხს. სრულიად დაბნეული მიმელი ხან ნინის უყურებს, ხან ლუკას. მიმელი მათ გასაღებებს ამჩნევს, სკამზე მოცელილივით ჯდება.

## მიმელი

თქვენ... თქვენ... როგორც იქნა! უკაცრავად! ათასი ბოდიში!

მიმელს ლუკა ჭიქიდან ორი თითით ფრთხილად ამოყავს, მაგიდაზე დგამს. ლუკა თავით ფეხებამდე ცილაშია ამოთხვრილი.

## მიმელი

ახლავე, ქალბატონო!

მიმელი ნინის ფრთხილად იღებს ნაჭუჭიდან და მასაც მაგიდაზე სვამს. პერანგის ჯიბიდან უხმარ თეთრ მაქმანებთან ცხვირსახოცს იღებს, ლუკას უწვდის.

## ლუკა გმადლობთ.

ლუკა ცხვირსახოცით, რომელიც მისთვის ზენრისხელაა, ცილას იშორებს.

### ექსტ. ნაპირი. ინკუბატორის ეზო

პოლიციელები და ძაღლები ნაპირს ამონშებენ. ქვიშნარზე პოულობენ ბავშვების ნაკვალევს. ძაღლები ყეფას იწყებენ, ბურქნარისკენ იქაჩებიან. ყველანი იქით მირბიან. მალევე აგნებენ ფოთლებნაყრილ საცურაო კოსტიუმებს. ძაღლები კოსტიუმებს ყნოსავენ, ინკუბატორისკენ ინევენ.

პოლიციელები ინკუბატორისკენ მირბიან. მალე ეზოში შედიან. ურმის ადგილას პატარა დრაკონი ზის, რომელიც ძაღლების დანახვაზე ინკუბატორში შერბის შეშინებული. ძაღლები ყველაფერს ყნოსავენ. პოლიციელები ვერაფერს პოულობენ. ძაღლები ბოლოს იმ ადგილას ჩერდებიან, სადაც ამას წინ ურემი იდგა და ნკმუტუნს იწყებენ. ინკუბატორიდან დრაკონების ხმები ისმის. კაპიტანს შეჭმუხნილი შუბლი ეხსნება. ჯიბიდან ძენკვზე გამობმულ გასაღებს იღებს.

### კაპიტანი

აკი? (გასაღებს უყურებს) ყველანი მიმელის სახლთან!

### ინტ. მიმელის სახლი

მიმელი სკამზე ზის. ლუკა და ნინი მაგიდაზე დგანან.

### მიმელი

შეგიძლიათ დილაზე აქ იყოთ. მაინც ვერაფერს მოგაგნებთ.

ლუკა ქადრაკის დაფაზე ძვრება, ფიგურებს შორის დადის.

### ნინი

რომელ დილაზე? დრო ხომ გარჩერებულია?

### მიმელი

როგორ! არ იციო? დრო რახანია ჩაირთო!

ლუკა და ნინი ერთმანეთს გაკვირვებულები და გახარებულები უყურებენ. მიმელი ჟი-ლეტის ჯიბიდან ძენკვზე გამობმულ საათს იღებს, თავსახურს ხსნის.

## მიმელი

(საათს უყურებს)

ექვსი დაიწყო. მალე გათენდება.

### იქსტ. ორლოვაევი

პოლიციელები და ძაღლები ორლობებში მირბიან. გზად კაპიტანი რაცხას რთავს.

### კაპიტანი

(რაცხით)

შეუ, სასწრაფოდ არმიის დახმარება გვეჭირდება! ბავშვები მიმელთან არიან!

### იქსტ. სასახლის ეზო

სასახლის ეზოში ფორიაქია. არმიის და პოლიციის ნაწილები ეზოდან სატვირთო მანქანებით და მოტოციკლებით გადიან. მხედრები ცხენებს ქალაქის ქუჩებში მიაგეღებენ. ჩაბნელებულ სახლებში ერთმანეთის მიყოლებით ნათდება ფანჯრები.

მალე მთელი პანიწარო განათებულია. ზოგი სახლებიდან გამოდის, ზოგი აივანზე დგას. ხალხი ერთმანეთში საუბრობს. ისმის სხვადასხვა ხმები: "რა ხდება? დაიჭირეს? ვერ დაიჭირეს? სად არიან? მიაგნეს?"

ზოგიერთები პოლიციელებს სირბილით კვალში უდგებიან.

### ინტ. მიმელის სახლი

#### მიმელი

შემიძლია გოგლი-მოგლზე დაგპატიჟოთ. ახალი რეცეპტი ვიცი.

ლუკა და ნინი დრაკონის კვერცხებს უყურებენ.

#### ნინი

არა, გმადლობთ.

#### ლუკა

ახლახან ვივახშმეთ.

მიმელი დაბნეულია, არ იცის, მოულოდნელ სტუმრებს რითი ემსახუროს.

## წინი

ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა?

## მიმელი

ჩინებული აზრია როგორ აქამდე არ მომაფიქრდა!

ლუკა ჭადრაკის დაფიდან მაგიდაზე გადადის. მიმელი ფიგურებს დაფაზე ალაგებს.

## ექსტ. სამხედრო ბაზა

ბაზის ეზოში დიდი ამბავია. ჩაფხუტიანი და კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები აქეთ-იქით დარბიან, რიგებად ეწყობიან. მათ წინ გენერალი დგას.

## ბანერალი

გოგონებო! ცერემონიებისთვის არ გვცალაია!  
სასწრაფოდ მიმელის სახლთან! ახლავე!

ჯარისკაცები მაშინვე ბრძანებას ასრულებენ, ზოგი მანქანების ძარაში ძვრება, ზოგი მოტოციკლს ახტება, ზოგი სამხედრო მანქანებში ჯდება და ა.შ. არმია ეზოდან გადის. ქუჩებში, შუკებში და ორლობებში არმიის კოლონები მიდის: ტანკები, ბრონირებული მანქანები, ქვემეხები და ა.შ.

## ექსტ. ქუჩები

პოლიციის და არმიის ნაწილებს უკან პანიწაროელები უდგებიან კვალში. თავიდან თითო-ოროლა მოქალაქე. მალე თითქმის მთელი ქალაქი უკან მიყვებათ.

პოლიცია იძულებულია, რამდენიმე ნაწილი ქალაქელების გასაჩერებლად დატოვოს. ქუჩებში პოლიციის კორდონი დგება. ერთ მხარეს ხალხი დგას, მეორე მხარეს პოლიცია: თავზე ჩაფხუტები ახურავთ, ხელში გამჭვირვალე ფარები და რეზინის ხელკეტები უჭირავთ. ხალხი გუგუნებს.

## ინტ. მიმელის სახლი

მიმელი და ბავშვები ჭადრაკს თამაშობენ. ბავშვები დაფაზე დგანან. მიმელი რალაც სვლას აკეთებს. ბავშვები ფიგურებს გროსმაისტერებივით უყურებენ, ერთმანეთში ჩურჩულავენ. შემდეგ ცხენის ფიგურას ეჭიდებიან, დაფაზე მიაჩოჩებენ – საპასუხო სვლას აკეთებენ. მიმელი ფიქრდება.



**ლუკა**

რომ გათენდება, რა მოხდება?

**მიხელი**

თქვენ შინ დაბრუნდებით!

**ნინი**

და როგორ? ჯადოსნური კარით გავალთ თუ სანდროსნაირად გავქრებით?

**მიხელი**

სანდრო ვინაა?

**ლუკა**

სანდრო ჩვენთან ერთად მოიყვანეს პანიწაროში.

**მიხელი**

*(თვალეები უფართოვდება)*

მერე? როგორ ნაართვა დედოფალმა გასაღები?

**ლუკა**

დედოფალს არ წაურთმევია. სანდრომ თავისი გასაღები აკის მისცა, ჩვენი თავისუფლების სანაცვლოდ.

**მიხელი**

რა ჯენტლმენური საქციელია!

**ნინი**

და მაინც, როგორ გავალთ აქედან?

**მიხელი**

ამას ვერ გეტყვით... უბრალოდ არ ვიცი. მხოლოდ ვიცი, რომ ეს მამინ მოხდება, როგორც კი პირველი მზის სხივი პანიწაროს დაეცემა.

**ნინი**

*(ლუკას ყურში)*

კარგი ტიპია, არა? მგონი აუცილებლად იმსახურებს ზღაპარში მოხვედრას.

**ლუკა**

"გულივერის თავგადასავალი 2"?

**ნინი**

არა, "გოლიათი და სამი გოჭი".

**ლუკა**

თუ "გოლიათი ტერმინატორის ნინააღმდეგ"?

**ნინი**

მომიგე!

მიმელს ვითომ არ ესმის მათი საუბარი, რაღაც სვლას აკეთებს. ბავშვები დაფას უყურებენ, სიტუაციას აფასებენ.

**მიჩელი**

შაპი, მეგობრებო!

## **ინტ. ლეას ოთახი**

ლეა თავის ოთახში ტელევიზორის წინ ზის, ხელში *Playstation*-ის ჯოისტიკი უჭირავს, რაღაც თამაშს თამაშობს. კედლებზე სხვადასხვა მულტფილმების გმირების პლაკატებია გაკრული. აქა-იქ ზღაპრის გმირების თოჯინები აწყვია და კიდია. კარი იღება, ოთახში დედოფალი შემოდის ცივი სახით. ლეა თამაშს თავს ანებებს. ტელეეკრანიდან შრეკი და ვირი ილრიჯებიან. დედოფალი ტელევიზორს ზიზლით შეაელებს თვალს.

**დედოფალი**

ისევე ამ საზიზრობებს თამაშობ? (პაუზა) ყველაფერს ჩემს ჯინაზე აკეთებ.


**ლეა**

რა შუაშია? ეს ხომ უბრალოდ თამაშია.

**დედოფალი**

უბრალოდ თამაში? ეს (შრეკსა და ვირზე უთითებს) მოლაღატეები არიან...  
და შენც მილაღატე! (პაუზა) ამ ზღაპრებმა სულ გაგაგიფეს...

დედოფალი კარს აღებს, ბრძანებას იძლევა.





## დედოფალი

გაიტანეთ ოთახიდან აკრძალული ნივთები!

ოთახში მსახურები შემოდინან, თაროებიდან ნივნებს და ვიდეოთამაშებს იღებენ.

## დედოფალი

(პლაკატებზე ანიშნებს)

ყველაფერი!

### ექსტ. ქუჩაში

ქუჩები შეიარაღებული ხალხითაა სავსე: ზოგს ჯოხი უჭირავს, ზოგს სამკბილა, ზოგს მუშტი მოუღერებია და ა.შ. ხალხის პირისპირ დგას პოლიციის კორდონი. პოლიციის მხრიდან რუპორით ისმის მონოტონური ხმა: "დაიშალეთ, თორემ თქვენს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი!.. (და ისევ ცოტა ხნის შემდეგ) დაიშალეთ, თორემ თქვენს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი!.." პოლიციელები ფარებზე რეზინის ხელჯოხებს აბრაგუნებენ.

### ექსტ. მიმელის სახლის მიმდებარედ

მიმელის სახლს ყველა მხრიდან არმია უახლოვდება. ჯარისკაცები სახლს მალე ალყაში აქცევენ. ტანკები იერიშისთვის ემზადებიან. გვარდიელები ქვეშეხებს აყენებენ. დიდი გუგუნნი და მისვლა-მოსვლაა.

### ინტ. მიმელის სახლი

ბავშვები და მიმელი ისევ ჭადრაკს თამაშობენ, რომ გარედან ხმები შემოაღწევს. მიმელი წარბს წევს, არ უნდა ბავშვებს თავისი შიში აჩვენოს. მიმელი ფანჯარასთან მიდის, გარეთ იხედება.

ლუკა

რა ხდება?

მიმელი

კარგი არაფერი.

## ნინი

შეიძლება ჩვენც ვნახოთ?

მიმელი მხარს იჩეჩავს, მაგიდასთან ბრუნდება, ხელისგულს მაგიდაზე დებს; ბავშვები მის ხელისგულზე სხდებიან. მიმელი ისევ ფანჯარასთან მიდის. ბავშვებს რაფაზე სვამს. სამივენი გარეთ იხედებიან. იქ უკვე სრული საომარი მზადყოფნაა.

### აქსტ. მიმელის სახლის მიმდებარედ

ქვემეხების მწკრივთან გენერალი ჩაივლის. მექვემეხეები და ჯარისკაცები მის ბრძანებას ელოდებიან. გენერალი განაპირა ქვემეხთან ჩერდება.

**გენერალი**

მოემზადეთ!

### ინტ. მიმელის სახლი

**ლუკა**

ახლა გვესვრიან.

**მიმელი**

ვერ გაბედავენ!

### აქსტ. მიმელის სახლის მიმდებარედ

**გენერალი**



ცეცხლი!

ქვემეხები ისვრიან. ყუმბარები მიმელის სახლს ხვდება. სახლი ზანზარებს.

### ინტ. მიმელის სახლი

**ნინი**

ხომ გვიოხრეს, თქვენი მოკვლის უფლება არა აქვთო!











მიმელს ბავშვები უცბად ხელში აჰყავს: ლუკა მარჯვენაში, ნინი მარცხენაში, *არააააა* სცილდება. ამ დროს ფანჯარას ყუმბარა ლენავს.

## ქესტ. ქუჩაზი

ხალხი გუგუნებს. პოლიციელები შეტევაზე გადადიან. პოლიციის მწკრივი მოკლე, მაგრამ მყარი ნაბიჯით ხალხისკენ მიიწევს. რეზინის ხელკეტებს ისევ ფარებზე აბრავუნებენ. ხალხი ერთხანს ადგილზე დგას. მერე უცბად ვიღაც იხუფლებს და ყველანი პოლიციელებისკენ გაექანებიან. ზოგი შორიდანვე დაუშენს ათას რამეს. ისვრიან ყველაფერს, დამალ კომბოსტოსაც და ლაყე კვერცხებსაც კი. პოლიციელები და პანინაროელები ერთმანეთს ასკდებიან. სპეცდანიშნულების მანქანები ხალხს წყლის ჭავლს უშეგებს.

## ინტ. მიმელის სახლი

მიმელის სახლის სასტუმრო ოთახში მინის ნამსხვრევები იყრება, ქერიდან ბათქაში ცვივა, სადღაც ცეცხლი ჩნდება... ორი მხრიდან სახლის კედლებს ტანკები ანგრევენ. მიმელი სახლიდან გარბის.

## ქესტ. მიმელის ეზო

ეზოში გასვლისთანავე ჯარისკაცები ყველა მხრიდან ისვრიან კაუჭიან თოკებს. კაუჭები თავდაპირველად მიმელს შარვალსა და ფეხსაცმლებზე ეჭიდება. მიმელი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის, გათავისუფლებას ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ, ჯარისკაცები ისევ ესვრიან კაუჭიან თოკებს. მალე მიმელი ნაბიჯსაც ვეღარ დგამს, ფეხებით მიწაზე დაბმული. ჯარისკაცები ახლა უკვე მისი ხელებისკენ ისვრიან თოკებს. მიმელი ხელების აწევას ცდილობს. მაგრამ ყველა მხრიდან წამოსულ თოკებში იბლანდება. მიმელი ბოლო ძალებს იკრეფს, მარჯვენა ხელით თოკებს წყვეტს. მარცხენის აშვებას ვერ ახერხებს. ათასი თოკით დაბმული მარცხენა უმწეოდ აქვს დაშვებული. მიმელი მარჯვენა ხელს რაც შეიძლება მაღლა წევს.

## ქესტ. ქუჩაზი

ქუჩებში პოლიცია და ხალხი ერთმანეთს ებრძვის.

## **ინტ. დედოფლის ოთახი**

დედოფალი და პოლიციის შეფი ფანჯარასთან დგანან, გარეთ იხედებიან. ხედავენ განათებულ პანინაროს. აქა-იქ ქალაქში კვამლი ჩანს. შორიდან ისმის ყრუ გუგუნი და შეძახილები. პოლიციის შეფს ხელში რაცია უჭირავს. რაციიდანაც რალაც ხმები ისმის.

## **ექსტ. მიმელის აუზი**

დაბმული და ხელაღმართული მიმელი ცოცხალი ძეგლივით დგას. აღმართული ხელი გაშლილი აქვს, ხელისგულზე ლუკა წევს, რომელიც მიმელის თითებს შორის იყურება. ხედავს ჯარისკაცებს, რომლებიც მთასვლელებივით მიმელის ფეხებსა და ტანზე მოცოცავენ, ზევით ადიან. მიმელის თითებს შორის თავგამოყოფილ ლუკას მზის სხივი უცბად თვალს ჭრის. ლუკა უნებურად თვალს ხუჭავს. მზის სხივი თვალზე ადგას.

## **ინტ. დედოფლის ოთახი**

ფანჯარასთან მდგარი დედოფალი გამწარებული წივის.

## **ინტ. ლეას ოთახი**

ლეაც ფანჯარასთან დგას (*მის ოთახში უკვე აღარ კიდია პლაკატები, აღარც წიგნები და სათამაშოები ჩანს*), ისიც გარეთ იხედება. დედოფლის წივილი მის ოთახამდეც აღწევს. ლეას ელიმება.


## **ინტ. ლუკას საძინებელი. დილა**

ლუკა თავის ლოგინში წევს. მზის სხივი ისევ თვალზე ადგას. ლუკა იმშუშნება. გვერდს იცვლის, თვალს ახელს. საკუთარ ოთახს გაკვირვებული ათვალეირებს. სამზარეულოდან ჩვეულებრივი ხმები ისმის. კარი იღება, ოთახში დედა შემოყოფს თავს.

## **დედა**

დროზე ადექი. სკოლაში დაგაგვიანდება.

ლუკა ლოგინიდან წამოხტება, დედასთან მიირბენს, ეხუტება.





## ლუკა

დე, იცი, სად ვიყავი?!

## დედა

მიხარია, კარგ ხასიათზე რომ ხარ. მერე მომიყევი, სად იყავი.  
კარგი? ახლა კი მიდი, მალე მოემზადე.  
სკოლის ავტობუსი გაგასწრებს.

## ინტ. ექსტ. დილა

ჩვეულებრივი ფაციფუცი: პირის დაბანა, ჩაცმა, სასკოლო ჩანთის ჩალაგება, ჩაის სმა, ტრანსპორტით მგზავრობა და ა.შ. ლუკა ყველაფერს სიხარულით აკეთებს და ოდნავ გაკვირვებული აკვირდება.

## ინტ. სკოლა. დილა

საკლასო ოთახში მონაფეები მერხებთან სხედან. დაფასთან მასწავლებელი დგას. დაფის გვერდით კედელზე დიდი პლაკატი კიდია, რომელზეც დინოზავრებია გამოსახული. მონაფეებს თავები რეულებში ჩაურგავთ, რალაცას წერენ. ამ დროს კარზე კაკუნია. ვილაც ქალი (სასწავლო ნაწილის გამგე) მასწავლებელს გარეთ იხმობს. მასწავლებელი ოთახიდან გადის.


## მასწავლებელი

გააგრძელეთ წერა.

ცოტა ხანში მასწავლებელი საკლასო ოთახში ბრუნდება. თან სკოლის მონაფის ფორმაში გამონყობილი გოგონა მოყვება, რომელიც პრინცესა ლეაა. მონაფეები გოგონას უყურებენ, ათვალეიერებენ. გოგონა მორიდებულად დგას მასწავლებლის გვერდით, ხელში სასკოლო ჩანთა უჭირავს. ოდნავ იღიმის.

## მასწავლებელი

ბავშვებო, გაიცანით. ეს თქვენი ახალი კლასელია.



გამომცემლობა შპს „სიესტა“  
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27  
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49  
ელ-ფოსტა: [books@siestagroup.ge](mailto:books@siestagroup.ge)